


କବିତାବିରାଗୀ

ପ୍ରକାଶକ ପରିବହନ
ପଦ୍ମପାତ୍ରମାଲା

140
1946



გარეკანზე ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვის პორტრეტი
მოწაფეობის წლებში.
რეპროდუქცია—ა. დავიდოვას ნახატიდან.



სამი რამ

ლენინმა გიმნაზია ოქროს მედალზე დაამთავრა. მას უმაღლესი ცოდნის მიღების დაუშრეტელი სურვილი ჰქონდა, მაგრამ უნივერსიტეტში არ მიიღეს, უარი უთხრეს, როგორც რევოლუციონერს.

ლენინი ვერ შეაშინა ამ მდგომარეობამ. მან მტკიცედ უთხრა თავის დედას: მე აუცილებლად დავამთავრებ უმაღლეს სასწავლებელსო, და მინისტრის სახელზე დაწერა განცხადება, რომელშიც ის, უმაღლესი სასწავლებლის მთელი კურსის ერთად ჩაბარების ნებართვას თხოულობდა.

ვლადიმერ ულიანოვის ამ განცხადებამ გააოცა მინისტრი: — როგორ დაიჭერს ის გამოცდას, მას ხომ არ უსწავლია უმაღლეს სკოლაში? დავრთავ ნებას, სულ ერთია ვერაფერს ვერ გააწყობსო.

ლენინი, მიიღო თუ არა მინისტრისაგან დასტური, მაშინ ვე შეუდგა შეუპოვარ მეცადინეობას. ის მთელი დღეებით წიგნებს უჯდა; კითხულობდა, წერდა, თარგმნიდა.

გაზაფხულზე მან თავიანთი ბალის ცაცხვის ხეივანში კაბინეტი მოაწყო. მიწაში ჩადგა ხის მაგიდა და სკამი, იქვე გამართა სავარჯიშო ლერძი. ის მეცადინეობდა მკაცრი რეჟიმის განაწესით, რაც მან თვითონვე-შეადგინა.

მეცადინეობას იწყებდა დილაადრიან და სრულ სიმარტოვეში შეუსვენებლად სწავლობდა სადილობამდე. ნასაღილევს დასვენებისა და ბანაობის შემდეგ ის კვლავ თავის სამეცადი-



ნო ბაღნარს უბრუნდებოდა სამი-ოთხი საათით, ხოლო საღა-
მოს, ტყეში სეირნობითა და მდინარეში ბანაობით გულმო-
ჯერებული, ისევ თავის წიგნებთან იყო. მეცადინეობის შუა-
საათებში, როდესაც გონებრივ დალლილობას იგრძნობდა,
თავს ანებებდა წიგნებს და რამდენიმე წუთს ტანვარჯიშობას
ეწეოდა.

მშობლებს უკვირდათ და ეშინოდათ, ამდენი მეცადინეო-
ბით ჯანმრთელობა არ შეერყასო. მაგრამ ჭაბუკი ლენინი ამ-
ბობდა:

— ადამიანს განსაცვიფრებლად ბევრი სწავლა და მუშა-
ობა შეუძლია, თუ წესიერი დასვენება იცისო.

ეს რომ კარგად იცოდა ლენინმა, აკი შედევეიც ბრწყინვა-
ლე მიიღო. შრომის უნარის, გონებრივი ძალებისა და დასვე-
ნების წესიერად გამოყენებით მან ორი წლის განმავლობაში
დასძლია და შეითვისა უმაღლესი სასწავლებლის მთელი კუ-
რსი; გააკეთა ის, რასაც სხვები ნორმალურად ოთხ წელიწადს
უნდებოდნენ.

როცა ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვმა უნივერსიტეტის
ოთხი კურსის პროფრამა ერთად, ბრწყინვალედ ჩააბარა,
განცვიფრებულმა პროფესორებმა ჰქითხეს: — როგორ შესძელით
ასეთი დიდი სიძნელის დაძლევა უთუოდ ვინმე გეხმარებო-
დათო.

ლენინმა ბეჯითად უპასუხა:

— არა, მე მარტო ვმეცადინეობდი.

უფრო მეტად გაკვირდნენ პროფესორები და წამოიძახეს:

— ეს შეუძლებელია!

— ეს წარმოუდგენელია!

მინისტრმა კი განცვიფრებისაგან ხმა ვეღარ ამოიღო,
მხოლოდ ხელები გაშალა. მაგრამ ეს ფაქტი იყო.

დიახ, ნამდვილად დასძლია ეს სიძნელე ლენინმა მარტომ —
სხვების დაუხმარებლად, იმიტომ რომ მას სამი აუცილებელი
რამ ჰქონდა: უდიდესი ნიჭი, შეუპოვრობა მეცადინეობასა და
შრომაში და დასვენების საუკეთესოდ გამოყენების უნარი.





ბეორტე შვეოფლეთ-რმან
დაწყებისთვის ამერიკა-
ში შეიძმია ამერიკის შე-
ურთობული შცაცემის, კა-
ნადისა და ცენტრალური
პრეზიდის ინდილი ფომე-
ბის შეღადთა სამართლი.

სამართლი დაგენერაცია, თმის
პრეზიდენტი ინდილ ფომითა
საპარავით შეღადის დაწყებისთვის
აუგუსტ ჩლიური მოკავ-
ბის სახელმწიფო თანა-
მისამის აუგუსტი უფრო
გამოჩენილი და მომენტი
შეღადისთვისათვის.

...და როგორც სამართლი
სახელმისამართ-ერთ-ერთმა უსუ-
ცარი წევრმა მოითხოვა
აუგუსტი საპარავით შეღა-
დი, შეღადთა სამართლი ურთ-
ხმად დაგენერაცია:

— სცადინი!

რამდენიმე სინის შემდეგ
ძალაში ნაუ-ითხვში შეცდ-
გა ინდილ ფომითა შეღა-
დის სამართლის სამართლი
ცენტრალის, სადაც ამერიკის
წარმომადგრენლის გა-
დაცუცა ინდილ ფომითა სა-
პარავით შეღადის ქუდი მარ-
შვილ სცადის მიზანის მი-
სახაობისათვის.



1946 წლის 8 მაისს მოსკოვს ჩამოვიდნენ ქალაქ ჰუეინგრადის ლომონ-
სოვის-სახელობის ფაიფურის წარმოების ქარხნის წარმომადგენელნი—ქარანის
დირექტორი ლეიბმანი, მთავარი მხატვარი სუეტინი, მხატვარი სკორცოვი,
ქარხნის მუშები პოლესჩიკი, ივანოვი და სხვები.

მათ თან ჩამოიტანეს ორიგინალური სახუქრი საბჭოთა კავშირის ჯენე-
რალისიმუს ამანაგ სტალინისათვის გამარჯვების დღის მისალოცად, მონუმენ-
ტალური, მხატვრულად შესრულებული ფაიფურის ლანაკი—„გამარჯვება“.

ამ უნიკალური ლანაკის სიმაღლე $2\frac{1}{2}$ მეტრია. მის ერთ მხარეზე გამოხა-
ტულია ამანაგ სტალინის პორტრეტი, მეორე მხარეზე—კამარჯვების სალუტი
ლენინგრადში და მოსკოვში. იქვე მოთავსებული დღიდ მხატვრული გემოვნე-
ბით შესრულებული რამდენიმე ეპიზოდდა სამამულო იასისა.

ლანაკი გადაეცა პირადად ამანაგ სტალინს, რისთვისაც დიდმა ბელადმა
მათ მადლიანა გადაუხადა და უსურვა შემდგომი წარმატება მუშაობაში.

ეს ლამაზი ლანაკი დგას მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში.
აი, ამ სურათზე, თქვენ ხედავთ ამ მონუმენტალურ ქმნილებას.



ინდიელ ტოსთა საპატიო
ბელადის ქუდი

ვლადიმერ მაიაკოვსკი

თექვსმეტი წელი შესრულდა საბჭო-თა ეპოქის უნივერჯის პოეტ ვლადიმერ ვლადიმერის-ძმის მაიაკოვსკის გარდაცვალებიდან. ის 17 წლის ახალგაზრდა გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და ოცი წლის მანქილზე უდიდესი ერთგულებით ემსახურებოდა რევოლუციური პოეზიის შექმნას.

ვლადიმერ ვლადიმერის-ძე მაიაკოვსკი დაიბადა 1893 წელს საქართველოს ერთერთ უშმვენიერეს კუთხეში — სოფელ ბაღდათში (ახლანდელი მაიაკოვსკი), სატყეოს უფროსის ოჯახში. ბავშვობისას მაიაკოვსკი ძლიერ მხიარული და ამხანაგების მოყვარული იყო. პატარა მეგობრებთან ერთად ვლადიმერი ფეხშიშველა ხშირად დაბილი სანადიროდ ბახლობელ ტყეებში. გართობასთან ერთად პატარა ვლადიმერს თავდავიწყებამდე სუკარდა შრომა. ზეპირად სწავლობდა ქართველი და რუსი პოეტების ლექსებს. განსაკუთრებით მოსწონდა ქართული ზღაპრები. ჯერ კიდევ ბავშვმა ზეპირად იცდიდა ოქმულება ამირანზე. მისთვის ამირანი წარმოადგენდა მუდმივი ოცნების გმირს. ამირანის ვაჟკაცობა ყრმა მაიაკოვსკის აქეზებდა დიდი საქმების შესრულებისათვის.

10 წლის თუ იქნებოდა ვლადიმერი მაშინ, — გაღმოვგეუმს მაიაკოვსკის და, — მასის ერთხელ მეზობლის ბავშვები შეჰყარა ერთად. მამის მიერ გაკეთებული ხის თოფები დაურიგა მათ და დედის სთხოვა გაეშვა მცირე ხნით კავესიონის მოებში. დედას ერთ და იმავე დროს შეეშინდა და გაუკარდა კიდევაც ვლადიმერის მოქმედება, ჰყოთხა: თუ რატომ უნდა წასულიყო მოებში. ვლადიმერმა სწრაფად უპასუხა: „ამირანი უნდა გავათავისუფლოთ“. დედა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. იცოდა, რომ ვლადიმერი რასაც იტყოდა შეასრულებდა კიდევაც. ბავშვი უცდიდა დედის ბასუხს. ბოლოს, მასის, დედაშ უპასუხა: „ამირანი უკვე ხალხმა გაათავისუფლა და რევოლუცია მან დაიწყოო“. არ ვიცი დაიჯერა თუ არა ვლადიმერმა დე-

დის ნათქვამი მაშინ, მაგრამ შემდგომ წლებში „ამირანი და რევოლუცია“ მისთვის ერთმეორის სინონიმი იყო.

ქუთაისის გიმნაზიაში ყოფნის დროს 1905 წელს ვლადიმერ მაიაკოვსკიმ მოწაფეთა გაფიცვაში მიიღო მონაწილეობა. გაფიცვა მიმართული იყო მეფის რეზიდის წინააღმდეგ. 1906 წელს გარდაიცვალა ვლადიმერის მამა და ოჯახი სრულიად უმწეოდ დარჩა. მამის სიკვდილის შემდეგ მაიაკოვსკის ოჯახი მუდმივ საცხოვრებლად გადადის მოსკოვში. ვლადიმერი მოსკოვში შედის მეხუთე გიმნაზიის შეორე კლასში.

1912 წელს ბურლუკთან, ხლებნიკოვთან და სხვებთან ერთად ვლადიმერ მაიაკოვსკიმ გამოაცეუნა რუსი ფუტურისტების პირველი მანიფესტი. შემდეგ ამ ამხანაგების ჯავაფმა დაიწყო მოგზაურობა მთელ რუსეთში; გამოდიოდა საღამოებზე ლექსებით და კითხულობდა ლექციებს. 1915 წელს მაიაკოვსკი ჯარში გაიწვიეს. შტაბში მუშაობდა მხაზავად. ის მეოდის თვითმშეკრიბელობის დამზრბას და თებერვლის რევოლუციას აღფრითოვანებით შეხვდა. თებერვლის რევოლუციაზე ბოლოს პოეტს გული გაუტყდა; მან შეიგნო, რომ ეს არ იყო ჭეშმარიტი გზა დიდი რუსი ხალხისა.

ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ოქტომბრის დიდ რევოლუციაში დაინახა ეს დიდი გზა და აქტიურად დადგა რევოლუციის საგუშაგოზე. სამოქალაქო ომის მთელ მანძილზე ერთერთი ყველაზე უფრო პოტულარული და საყვარელი პოეტი იყო წითელი გვარდიისა და წითელი არმიის რიგებში შებრძოლთა შორის. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ვლადიმერ მაიაკოვსკი მთელი შეგნებით შეუდგა ახალ, საბჭოთა პოეზიის შექმნას; ეს მისია მან ღირსეულად შესრულა.

ვლადიმერ მაიაკოვსკის პოეტური შემოქმედება ღირსეულად დაავასა საბჭოთა ხელისუფლებამ და მისი მოღაწეობის 20 წლისთვის მიანიჭა რესპუბლიკის სახალხო პოეტის სახელშოდება.





1928 წლის გაიშვი მოსკოვში
მოაწო დიდი ზეიმი — საბაზო
ზიმნის დღე.

ამ ზეიმში რამდენიმე ათასში ბა-
ვზეა და, მაგრა მოსკოვში მო-
ცხა, ყველა საბაზო მუნიციპალიტეტი
მიღები მოაწილეობა. ის ზეიმი
კინოფილმადაც გადაიღეს და
ფილმ „ზიმნის დღე“ უფროდეს. მო-
სკოვის საბაზო ზიმნის დღესა-
შაულს ვლადიმირ ვლადიმერის-ძე
მაიაკოვსკიც ესწევაოდა, და არა
მარტო ესწევოდა, უიმონება. იმ-
შეს, ყველა იმ მყოფ მუნიციპალიტეტის
აჯორა აკოდიგობასა და მიიაჩულე-
ბაში.

ვლადიმერ მაიაკოვსკი კინოაკა-
დარის ზიმნის დღე თავისუფლად მო-
ძრაობდა რომ ამზოგდენ ნამდვილ
კინომსახიობსაც გაუცილებაო
ამიტომ ფილმის უმრავლეს კადლი-
ზე, სწორები მაიაკოვსკი ანდრეგო-
და თავის პატარა მამობრძება უმ-
რის, სამუშავოები, ეს კინოსურათი
დაკაგულია. დარჩენილა, მოლოდი
ორიოდე კადრი ამ ფილმისა.

ამ დაბეჭდილია ერთი კად-
რითაგანი კინოსურათიდან „ზიმნის
დღე“.

ვლადიმერ მაიაკოვსკი ეცეობა
თავის პატარა მკითხველს — რიმა
სემეონიას. გოგონას ხელში უფი-
რავს თავისი საყვარელი ზიმნი—
ვლადიმერ მაიაკოვსკის „ცხენი—
ცეცხლი“ („კონი-ოგონი“).



ვლადიმერ მაიაკოვსკი

რა არც კარგი და რა არის ცუდი

მამილოსთან მიეიღა
ბიჭი ერთი ციდა,
ჰქითხა

— რა კარგი
და რა არის ცუდი?

— რა მაქეს დასამალი,
მომისმინე ბალლო, —
და პასუხი მამის
მინდა წიგნშიც ნახოთ.

თუ დაუშენს სეტყვა,
სახურავს ჰელეჯს ქარი,
სასეირნოდ ეს ხომ
ძლიერ ცუდი არის.

თუ გადილებს წვიმა
და მზე შემოგვინებს —
რა სჯობია იმას,
მოგვჷონს დიდს და მცირეს.

თუ შვილი გყავს ჭუშები
მუდაშ ამოსერილი,
არის ძლიერ ცუდი
ამისთანა შეიღო.

თუ საპონი უყვარს
და კილების ფხვილი,
ის იქნება კარგი
და ეჭირებას შვილი.

თუ სცემს პატა ბალდებს
უშნოდ მოჩხებარი —
წიგნშიც არა გნეხო
მე ეს ბაჭი ბარება
ვინც იძახის — მცირეს
და სუსტს ხელს ნუ ახლებ!
ის კარგია, უყვართ
დიდებსა და ბალდებს.

თუ დახიფ ხშირად
წიგნები და ბურთი,
ხომ იტყიან ასე —

ბიჭიან ცუდი.
თუ ბაგშეს უყვარს შრომა,
წიგნაც ფურცლებს თითოით, —
წიგნშიც წაიკითხო
მისი მაგალითი.

თუ გაეწა კვავებს
და ცრემლებმა სძლიერს,
ის ხომ მშიშარაა
და ცუდია ძლიერ.

არ შეუდრევეს არგის
ბიჭი ცეროდენა, —
ჩვენ მამაცი გვიყვარს,
გმირი გვინდა ჩვენა.

ვინც კი ჭუჭყში ძრება
და დაისვრის ხალას,
უწოდებენ იმას
ბინძურს და უქარას.

ვინც სწმენდს ფხსაცმლებს
ზრუნავს დიდი როგორც,
კარგი არის სრულად
ბიჭია თუ გოგო.

დაიხსომეთ ყველამ,
ყველას გითხრათ უნდა —
ბაგშეობაში ცუდი
გაიზრდება ცუდად.

ციდა ბიჭი მამის
სიტყვამ გაახარა,
— კარგი მინდა,

ცუდი
არ ვინები, არა.

თარგ. ოეიმურაზ ჯანგულაშვილმა



„ავლაბრძის სტამბის დარბევა“ — მხატვარი ივ. ვაცხაძის სურათის ფოტორეპროდუქცია.

ს ა ი ღ უ მ ლ ი

კაცი დგას ჭასთან და გაფაციცებით ჩას-
ტერის მის ფსკერს. შან ცეცხლი მოუკიდა
ქალალდის ნაფლეთს და ჭაში ჩაუშვა. ალ-
მოდებული ქალალდი იწვის ნელნელა და
ნელნელავე ეშვება დაბლა. უანდარმი გაუ-
მაძლარი სიხარბით ჭაში იცეირება, ცეცხლ-
წაკიდებული ქალალდი კი... აი,

საცაა, უნდა დაიწვას, დაიფერფლოს და
ამით გათავდეს მტრის მოლადინი — ხარბი
და გველური, მაგრამ... თითქოს სასწაული
მოხდა, ქალალდმა მიმართულება შეცვალა,
ნაცვლად ძირს დაშვებისა, განზე შეუხვია
და გაუჩინარდა.

უანდარმს სახე გაუბრწყინდა, თითქოს
იპოვა, რსაც ეძებდა. ბრძანება გასცა: გა-
უჩინარებული ქალალდის გზას გაჰყოლოდა
შეხანძრე. ის უარზე იღვა, მაინც აიძულეს;
ჭაში ჩაუშვეს, და იმ ადგილას, სადაც ალ-
მოდებული ქალალდი გაუჩინარდა, მეხანძ-
რეს დაუხვდა გზა გვირაბისევნ. გულის
ფანცქალით გაჰყვა ამ საიდუმლო გზას,
რომელმაც მალე იგი სტამბაში მიიყვანა.

სიხარულით ცას დაეწია უანდარმერის.
ამოქმედდნენ მეფის ერთგულნი და რამდე-

ნიმე ხანში: საბარგულზე იღო საბეჭდი მან-
ქანა, ლითონის ასოებით სავსე ყუთები.
ეზოში უწესრიგოდ გაფანტულიყო „ბრძო-
ლის“ ფურცლები. ფურცლები, ესო-
დენ საიდუმლოდ და თავგანწირვით ქვეკ-
ნელში დაბეჭილი, რომელთაც დედაძიწა-
ზე ამოპქონდათ სიტყვა მართალი და საქმე
გმირული.

სახლს უანდარმები სხერეკენ, ეზოს კაზა-
კები ბარვენ და გამწარებით ეძებენ მიწის
გულში ფეთქებად ნივთიერებას. სულ გა-
დაბარეს და გადათხარეს ეზო. ათი საათის
განმავლობაში შეუჩერებლად ჰქექლნენ იქა-
ურიობას, მაგრამ ერთი ყუმბარაც ვერსად
იპოვეს.

ცეცხლის ალა მისცეს სახლი, დაინთო კო-
ცონი. დაიფერფლა სტამბის შენობა.

ეს მწარე სინამდვილე მხატვარს ტილოზე
გადაუტანის, უხვი ფერებით აუმეტყველებია
ყოველი მომენტი სტამბის დარბევის, აოხ-
რების, აფეთქების. სურათზე წარწერაა:
ავლაბრის არალეგალური სტამბა რუსე-

თის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტისა, რომელსც მეთაურობდა ამხანაგი სტალინი, მოწყობილ იქნა და მუშაობდა 1904 წლის 1906 წლამდე. სტამბაში იბეჭდებოდა ლენინისა და სტალინის ცალკეული ნაწარმოებები და კავკასიის კავშირის კომიტეტის სხვა გამოცემები. გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“, „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“, შროშურები, პროკლაციები, მოწოდებები. ამავე შენობაში კეთდებოდა ასაფეთქებელი ყუმბარები.

1906 წლის 28 აპრილს უანდარმერიამ მიაწნო ავლაბრის არალეგალურ სტამბას და დაარბია. მეტის გამხეცებულმა მსახურებმა სახლი გადაწვეს, ჭები დაანგრიეს, ხოლო სტამბის შენობა ააფეთქეს.

იწვოდა სტამბა, ცეცხლის ალი ცასა სწვდებოდა. ძველი თბილისს მიდამოებს ფერფლი ჰყავარავდა; მტკვარი კლიფვან ნაპირებს გახელებული ტალღებით რეცხდა; მეტები მუდამ გულჩათხრობილი და თან მღელვარე ამ საშინელებას რყინის ურდულებიდან მრისხანედ უცქერდოდა, მუშათა კლასი შურისძიების დღეს ელოდა.

ვინ მოსთვლის, რამდენჯერ შეუკრთია სტამბის მუშები ზარის ხმას, მიცემულს ნი-

შნად იმისა, რომ მტერი გამოჩენდა, მუშაობა უნდა შესწყვიტონ, მანქანები ღაასუმონ. და მაშინ სიჩუმე შოიცავდა სტამბეჭედის გადას. გავიღოდა ხანი და... კვლავ გრძელებული ზარის წერიალი, ეგ ნიშანი იმისა, რომ მტერმა ბრმად ჩაიარა, საფრთხე აცდენილია, შეიძლება მუშაობა დაიწყონ კვლავ.

ასე ფარულად, მიწაში მოწყობილ სტამბაში, გასაოცარი თავგანწირვით კეთდებოდა დიდი საქმე მუშათა განთავისუფლებისა, მაგრამ... ჯალათმა ვერ მოისვენა, მტერმა გასცა საიდუმლოება, გააფთრის ბული ეანდარმერია თავს დაესხა არალეგალურ სტამბას და ააფეთქება.

თუ ახლა ესტუმრებით ძველი თბილისის მიღამოს, საღაც 40 წლის წინათ არალეგალური სტამბა არსებობდა, თქვენ დაგხვდებათ სახლიც, სტამბაც და უცნაური საიდუმლო ჭაც.

ავლაბრის არალეგალური ბოლშევიკური სტამბა თავისი პირვანდელი სახითაა რესტავრირებული კულტურის დიდი მოამაგის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას ხელმძღვანელობით.

მირი ადამია

მირში კაჭაშიც

ფრთა გაშადე

მერცხსალივით იჭიკჭიკე,
იბეჯითე, არ მოცდე!
მენი ქვეუნის გასახარად
ცოდნით შეხვდი გამოცდებს.
გქონდეს წიგნის სიუვარული,
გქონდეს სწავლის ხალისი;
ცოდნის მებნელს გამოაჩენს
ბეჯითობა თავისი.

დედის გულის გარდი იუბე,
მამის—თვალის სინათლე!
მენი კარგი მამულისთვის
გმირის ხალა ინატრე.
თვალციმციმავ, გაქვს საულელად
გზა ფართო და ნათელი;
ფრთა გამალე, გაიზარდე
სასახელო ქართველი.





ՅԱՅԱՀ ՅՈՅՈՅ

ლამით სოფელში გერმანელები მოვიდნენ. დილით კუტი პროცენტი, რამდენიმე მოხუცი და მუქუთა ბავშვებიანი ორიოდე დედაკაცი თუ შეგხვდებოდათ, თორებ სოფელში ძეხორციელი არ დარჩინდა. სამხრობა იწნებოდა, მაგრამ სახლებიდან კაცი არ გამოიითდა. ბოლოს ქერა ხმელ-ხმელი გერმანელი ოფიცერი გამრაზდა და პრძანდა, სოფლის ძმედანზე გამოყენათ კველა. გერმანელი ჯარსაკაცები დაეხსეტებოდნენ სახლებში და ძალით ერეკებოლნენ ხალხს. როცა მცხოვრებნი შეგროვდნენ, ოფიცერი კვლავ აყვირდა:

— სად არიან სხვები? სოფელში მარტო
დავრლოშილები, მოხუცები და ბაშვები
ცხოვრობენ, თუ ეს რას ნიშნავს? სად გა-
დაიკარგნენ მამაკაცები?

ყველა სდომდა. კუტმა პროხორმა სცადა
რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა. ოფი-
ცერი არ ისვენებდა, იგინებოდა, ძმუშტრე-
ბოდა და თვალებს ბნედიანივით აბრია-
ლებდა.

შეტყვევე ათანასეს უმცროსმა ვაჟმა
გრიგოლმა ყველაფერი იცოდა. სოფელში
ბევრი კარგი ვაჟქაცი იყო, და სათითაოდ
ჩაძირითვლიდათ თუნდაც ყოველ მათ-
განს. მოხადირე გარდიუქს, აბა, ვინ შეედ-
რებოდა ვაჟქაცობაში, ანდა ხმელიონეს,
სოფლის აღმაცემის თავშეჯოომსრეს, ჭი-
ლევ შეედელ პეტრეს, განთქმულ მოკრივე-
სა და მეგარმონეს, გოგოები რომ სიყვა-
რულით „სულიერ პეტრეს“ ეძახდნენ. ეჭ,
ყველანი წავიდნენ და გრიგოლს გული და-
წყდა, თან რომ არ წაიყვანეს იგი. მამამ გა-
ჯავრებით მოკლედ მოუჭრა:

— დედასთან იყავი, შარტოა საწყალი
ქალი და შეშინდება! რა გაეწყობოდა. თო-
რემ კრიგოლმა ყველაზე უკეთ იცოდა ამ
არყის ხეებით დაბურული ტყის თვითეუ-
ლი ბილიკი, სად, რომელ ხეზე რა ჩიტე-
ჭენდა ბუდე, ან ბეჭობთან რომელ

ხერელში იმაღლებოდა მჩხვარა ტურა თუ კუდბათქუნა მელია. ამიტომ იყო მას „ეშმაკის ფეხა“ შეარქვა გეოგრაფიის მასწავლებელმა.

გრიგოლმა კარგად იცოდა, მთელი სოფელი პარტიზანულ არაშეში ჩაწერა. ხვალ-ზეგ, როცა გერმანელები სოფელში თავს მოიყრინენ, ბაბუა პასომი კელე-სის ზარების რეველს ატეხდა, რაც იმის ნიშანი იქნებოდა, რომ პარტიზანებს შეეძლოთ მოქმედების დაწყება. ამიტომ გრიგოლი წყნარად იდგა თავისთვის. გერმანელი კი ისევ ბრაზობდა.

ბოლოს თვით ოფიცერმა ამოირჩია ხალ-
ხიდან ამასკოშის თავმჯდომარის ხმელი-
ვის მეუღლე ტატიანა, მაღალ-მაღალი, მო-
სული, საზღომიანი ქალი, მისი უმცროსი
ბიჭიკო სტეფანე, გრიგოლის განუყრელი
მეგობარი, ბაბუა პახომი და კოლმეურნეო-
ბის თავმჯდომარის გარიბიას მამა.

ჯგუფი წინ გაირეკეს. წასვლის დროს
ოფიცერმა შეამჩნა პატარა ბიჭი კუტ
პრობორს ეჩურჩულებოდა და ხელს
ოფიცერისაკენ იშვერდა. კერძოანელი მოტ-
რიალდა, ბიჭს ხელი წაავლო საყელოში და
ჰქოთხა:

— გრიგოლ სოლოვიოვი.

— ვისი შვილი ხარ?

— ტყის მცველის, ათანასე სოლოვიონ-
ვისა!

— საღ არის გამაშენი?

— მე საიდან ვაცი, ალბათ ტყეშია.

გერმანელმა ხელი ჰქონა. გრიგოლიც და-
პატიშჩებულთა ჯგუფს შეუერთეს. ხალხი
დაიშალა. ხვალ დილით პატიშჩები დაის-
ჯებოდნენ, თუ თუცერს პარტიზანთა აღ-
გილსამყოფელს არ შეატყობინებდნენ. შემ-
დეგ კველას ხელები გაუკრეს და მცველე-
ბის ზედამხედვეკლობით წინ გაირევეს.

დილააღრიან, როცა ჯერ კიდევ ფოთლებზე ნამი ბრწყინავდა, გერმანელებმა ხალხს თავი მოუყარეს სოფლის საბჭოს მოედანზე. რომელილაც მახუცი ღვარძლიანად იგონებდა და სწყევლიდა სოფელში მათი მთსვლის შუთს. გულის გამჭვრილებლად რაოდა ძუძუთა ბავშვი. ქალები თავისას არ იშლიდნენ და მალულად რაღაცაზე დავობდნენ.

გრიგოლის დედა მარიამი ძუძუთა ბავშვით განხე იღდა. ფერი წასვლოდა, ხმას არ იღებდა. წუხელ, შუალაშე რომ გადავიზა, უკანა კარით მალულად შემოვიდა სახლში ათანასე. ქმრის დანახვაზ ქალი გაახარა. იმედი შეიცა. მაგრამ შვილის ბედი ძლიერ აწუხებდა. ქმარი სულ გამოცვლიუყ ამ ორ დღეში. წვერი წამოზრდოდა, რაც უფრო ვაჟაცურ იერს აძლევდა მას. თვით ფეხაშე იარაღში იჯარა. როცა შვილის აშბავი უამბო ქმარს, მარიამი აღელდა და და უნებლიერ ტირზა.

— ნუ სტირი! გერმანელები ვერსად წაგვიკლენ, თვით ჯოჯოხეთშიც რომ სცადონ დამალვა, იქც მივაკვლევთ, გამანევდი, — მიუალერსა ათანასემ ცოლს, იმედი შისცა და ალუტჭვა, ქალე მოვალო და სოფელს გერმანელებისგან გადავარჩენთო. როცა ტყის მცველი ცოლს გამოეშვადობა და წავიდა, მარიამი კვლავ სევდამ შეიპყრო. მხოლოდ გარიერაუზე ჩაეძინა და მაშინაც ისეთი საშინელი სიზმარი ნახა, რომ გიფივით ზეზე წამოვარდა. ოფლში გაწურულიუ, სულერთიანად ცახცახებდა. ვითომ საღაც ტრიალ მინდორზე იყო. შუა მინდორში კენტად უზარმაზარი არყის ხე იდგა. ზევით, სულ ზევით პატარა ტოტზე თავისი გრიგოლი შეამჩნია, ხელს იშვერდა. რაღცას პევიროდა რაც ძალი და ღონე პქნენდა. ამ დროს გერმანელები მოვიდნენ და გრიგოლს ესროლეს. დედამ დაინახა, თუ როგორ გადმოვარდა მისი ბიჭიკო მაღლიდან და ძირს დაენარცხა.

სიზმრის გახსნებაზე ქალი ცახცახა ათანა. სოფელში ჩურჩულებდნენ: ყველა დაშვიან, განურჩევლად დიდისა და პატარისაო. შველა ერთგან. იყო: უნდა ეცნობებიათ პატარიშანული რაზმისათვის. მაგრამ ტყე ხშირი და გაუვალი იყო. მარიამმა არ ცოდა ქმრის ადგილსამყოფელი. თუმცა მისი შეუღლე ტყის მცველი იყო, მაგრამ თვითონ ერთხელაც არ ყოფილა ტყის სილმეში, საშინელი მშიშარა იყო. ღამით ტურების გაბმულ ჩხავილს რომ გაიგონებდა, შიშით კანკალს მოჰყვებოდა. ზოლო ზამთარში ტყეში მშერი მგლების კუჟილის გაგონება შიშის ზარსა ჰგვრიდა. ახ-

ლა თავისთავს სტუქსავდა: რატომ წუხელა ვუთხარი ქმარს, რომ წინასწარ გაეცი-თხილებინა მთელი რაზმი, ქალები ტურები ცებივით ფრონტზე იბრძვიან, მცურ ქართულ რომ შევხდო, მხოლოდ გული არის უყდა და ვერც კი გავაფრთხილეო.

კოლმეურნებობის დიდი გომურიდან გამოიყანეს შეცყრბობილნი. ყველას ზელები გაერული პქნენდათ ზურგს უკან. დონჯად მოზიოდა ბაბუა პახომი. ამაყად მოაბიჯებდა ტატიანა. სტეფანე ნუკრივით უკან მოსდევდა დედას. გრიგოლი სულ ბრძოლის მოდიოდა, თავი მაღლა იეწია, ხალხში დედას ეძებდა. როცა მარიამმა დაინახა, გული აუკანელდა, თვალთ დაუბნელდა. შვილმა თავი გაიძნია, დედას გაუცინა და თითქო ანიშნა, არაფერიათ.

საბჭოს შენობის აივანზე ავიდა გერმანერი იორერი. ხალხს გადახედა. ყველა გარემდა.

— ბებერო, სად არიან პატიზანები!


უყვირა მან ბაბუა პახომს. მოხუცი სოუმია. გერმანელი გაბრაზდა, აივანზე ჩქარი ნაბიჯით დადიოდა და ილანძლებოდა.



ტატიანამ წინ წამოიწია... და ზედ სახეზი მიაფურთხა

— კარგი, ასე იყოს, ეშმაკის კერძო! როცა პატაშენს ეახლები, იქ მას მაიც მოახსევა, — ოფაცერმა სცადა გახუმრება. შემდეგ ტატიანას მიმართა:

— დედაკაცო, სად არის შენი ქმარი?



— არ ვიცი!

ოფიცერი აივნიდან ჩამოვიდა, ტატიანას
მივარდა, მხარში ხელი სტაცა და მაგრა
გაჰქრა გერმანი.

— სთქვი-მეთქი, ალქაჯო!

ტატიანა აიმრიშა. სასტიკი გულისა იყო
ყაზაკი ქალი, მამაკაციებით ღონიერი. ერთ-
ხელ უქარისა ევტიხი გავრილოვი დაიფრინა
კოლმეურნეობიდან. ამის შემდეგ ქალებს
ტატიანას გმირობა სალაპარაკოდ ჰქონდათ.

— სთქვი... ამოიდგი. ენა! — გაიმეორა
ოფიცერმა.

ტატიანა წინ წამოიშია, თავი მაღლა აიღო,
ოფიცერს მიუახლოვდა. თვალებში ჩა-
ხდა და ზედ სახეში მიაფურისხა.

— ეშმაკის კერძი...

გაჭარხლებულმა გერმანელმა ცხვირსახო-
ცი ამოიღო და სახე მოიწმინდა.

— წაიყვანეთ! დე
ნუ იტყვიან... ესე
თქვენი სიჯიუტე... ეს ტექნიკურ
დეგ ტანკორჩილებულ
რეიტორს მიმართა,—
ჰანს, პირდაპირ მდინა-
რის გაღმა, ხიდვებით..

წინ გაიყოლიეს პა-
ტიმარნი. ხალხი უკან
გაჰყვა.

მდინარეზე ნისლი
იწვა, ადრე იყო, ჯერ
კიდევ ეძინა გერმანელ-
თა შტაბს.

მარიამი ხმამაღლა
სტიროდა, ბავშვი მე-
ზობლის ქალისათვის
გადაეცა, თვითონ კა-
ბადაკარწახებული მირ-
ბოდა და გზადაგზა გერ-
მანელს ეხვეწებოდა,
ეპატიებია და აეთა-
ვისუფლებია დაპატიმ-
რებულნი.

გერმანელი ყურს არ
უგდებდა, თავი მაღლა
აეღო და ნერვიულად
უსტვენდა.

სოფლის ეკლესიის
აღმართს რომ მიუახ-
ლოვდნენ, გრიგოლმა
რალაც უთხრა მის გვერ-
დით ახლო მიმავალ
ეფრეიტორს, მან



გაიცინა, ბავშვს ახელ-დახედა, მერე ოფი-
ცერს წამოეჭია.

— ბატონო თფიცერო, ეს ბავშვი გთხოვთ
ნებადართოთ სიკედილის წინ ილოცოს...
ოფიცერმა გამომდელი თვალი შეავლო
ბიქს, სახე შეექმუხნა, მაგრამ, თითქო რა-
ღაც მოაგონდა, მშრალ დასძინა:

— ძალის ლეკვი... ჯანდაბას მაგის თა-
ვი, ილოცოს... ხელები შეუხსენი.

მარიამი განცვიფრებული უცემროზა თა-
ვის ვაჟს. თავის დღეში არ ახსოვს შვილის
ლოცვა. პირიქით, იგი ღრმა მორწმუნებ
ბის ხშირად აჯავრებდა კიდეც ერთხელ
და მშობლის ხატი დაუმალა ლუმელქეშ,
და კინალამ ცეცხლი გაუჩნდა.

ჯარისკაცმა ხელები შეუხსნა ყმაწვილს
და ეკლესის სამრეკლოს ქვეშ მიუთითა:

— ილოცვ, ბერო!

გრიგოლმა რამდენჯერმე გადაიწერა პირ-
ჯვარი. ხალხში რომელიაც მოხუცი უხერ-
ხულად შეიშმუშნა: ბიჭი არასწორად იწერ-
და პირჯვარს და თან რაღაცას. ბუტბუტებ-
და, სე შევიდა ის სამლოცველოში.

— გეყოფა, დაამთავრე! — შენიშნა გა-
რედან ჯარისკაცმა.

— ახლავე... — გამოსძახა გრიგოლმა. კი-
დევ ერთი წამი და ყმაწვილი უკვე სამრეკ-
ლოზე იყო. ზარებქვეშ. უცებ მთელი ძა-
ლით შემოჰკრა ყმაწვილმა დიდ ზარს, ერთ-
ხელ, ორჯერ, სამჯერ, შემდეგ პატარა ზა-
რებიც იყოლია. ყველა განცვიფროდა. ბა-
ბუა პასომმა ქმაყოფილებით ჩაილაპარაკა
თვისისთვის:

— ყოჩალ! ყოჩალ, ჩემმა მზემ, ბიჭიქო!

ზარები გუგუნებდნენ ხმაშეწყობით, რო-
გორც საღლესასწაულო დღეებში.

— ესროლეთ ძაღლიშვილი! ესროლეთ!
ჰყვიროდა ოფიცერი. რამდენჯერმე ესრო-
ლეს ჯარისკაცებმა. ზარები კვლავ გუგუ-
ნებდნენ, დინჯად, გაბმით. შემდეგ თვით

ოფიცერმა დაუმიზნა რევოლვერი ყმა-
ცილს. ტყვიამ გაიზუილა სამრეკლოს კუთხი-
ზე. ზარების რეკვა შეწყდა.

მოისმა ქალის კვიილი. ყველაფერი იი-
რია. წივილი, ყვირილი არ ცხრებოდა.
შტაბთან ვილაც სამხედრო საყვირს უკ-
რავდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ არყის ტყის
იქთა მხრიდან საპასუხო სტოლი მოისმა.
ზედიზედ სკელბოდა გერმანელთა შტაბთან
ხელყებარები და აყრუებდა ყველაფერს.

— ჩვენები მოდიან! — გაჰყვიროდა ვი-
ღაც.

* * *

შუადღისას ჩვენი ცხენოსანთა ნაწილები
შემოიჭრნენ სოფელში. არწივის ფრთები-
ვით ფრიალებდა მათი ნაბდები ქარისაგან.
მხედრები პარტიზანულს მოიმდეროდნენ.
სოფელი კვლავ გამხიარულდა.

* * *

საოამის საბჭოს შენობაში მთელი სოფე-
ლი შეყრილიყო და მასლაათობდა. ზოგი
თამბაქოს ეწეოდა, ზოგი ონუნჯობდა.
პატარები დიდებს ბაძვჭნენ და დოინჯშე-
მოყრილი დიდად უსმენდნენ უფროსებს
ფრინტის ამბებს, ქმაყოფილი ტყის მცველი
ათანასე სიამოენებით უცქეროდა თავის
ვაჟს, ხოლო მარიამის სიხარულს საზღვარი
არა ჰქონდა.

— ვე, როგორ იყო?! ჩვენმა „ბერმა“
ლოცვა, რომ მოისურვა ეკლესიაში, — მოჰ-
ყვა სიცილს ბაბუა პახმი, — მართლაც,
რომ ჩინებული ლოცვა იყო, ნამდვილი სად-
ღესო, პარტიზანული. ჩემო ბიჭო! ჩემო
პატარავ, ეგრე უნდა, ეგრე მტერს კბილები
უნდა ჩაუმტვროო, რომ შეორედ აღარ მოუ-
ვიდეს თავში ასეთი სულელური აზრი!

უცქელანი იცინორნენ. ხოლო გრიგოლი
მორცხვად თავს ჰქონდა და გულში ამბობ-
და: ახლაც იტყვით გრიგოლ სოლოვლიოვი
პატარაა და ბრძოლაში არ გამოგვადგებაო!





မြို့ပြည်တော်မြို့ပြည်

ერთხელ ბიჭმა გარდი ნახა,
ვარდი, მიწდვრად ამოსული.
ნორჩი იყო, ცისკრის მსგავსი
მიირბინა მასთან წამსვე,
-ივრძნო ღიდი სიხარული.
ვარდი, ვარდი ლალისფერი,
ვარდი, მიწდვრად ამოსული.

— მოგწყვეტ! — ეტყვის ბიჭი მარდი,
ვარდო, მინვერად ამოსულო.
— გიჩხვლეტ! — ვარდი ამბობს წყენით,
ჩემი ტყვეა ფიქრი შენი
და ამას არ მითმენს გული.

ვარდი, ვარდი ლალისფერი,
ვარდი, მინდვრად ამოსული.

და მოსწევიტა ბიჭმა ვარდი,
ვარდი, მინდვრად ამოსული.
მან უჩხველიტა უზოგველად,
ვაი-ვაშმა ვერ უშველა,
დარჩა ბიჭი გულმოკლული.
ვარდი, ვარდი ლალისფერი,
ვარდი, მინდვრად ამოსული...


თარგმნა სარითონ ვარდოშვილება

ՀԱՅՈՒԹ ՊԵՐԵՐՈ

Figures on the board


მე წყარო ვარ, ცელქი წყარო,
მოვჩხუხებისებ იმით ვხარობ,
მოვჩხუხებისებ ისე წყნარია, და
მოვჩხუხებისებ ისე ნელა,
რომ სიამით თაგს მიხრიან,
აქ—ყაყაჩო, იქ—ენძღლა!
ჩემი აზრი და ფიქრია.
სიყვარულით შეკვედი ყველას:
კაცს და ფრინველს,
შველს და ირემს,
ბაჭიებს და ჭრელ პეტელებს.
ბულბული რომ ბულბულია
(მისთვის რა არ გავიმეტო!)
დღე არ არის, იმან ჩემთან
მობრძანება არ ინებოს.
ღამენათვეს, ნაგალობევს
გასველება უყვარს ენის,
და მერე კი კვლავ მხილავდეს
საამური ხმით და სტვენით.
მე წყარო ვარ, ცივი წყარო,
მოვიმღერა... იმით ვხარობ!
აი, მოვწყედი მშობელ წიარს,

დავექანე ველისაკენ,
ჩემი აზრი და ფიქრია
ვემასხურო კეთილ საქმეს.
ჯერ ყვავილებს მივეფერე,
შეგაშურე ყანებს მერე...
აშრიალდნენ სიმინდები
და ჯეჯილმაც იწყო დელვა,
დილმა შუაშ ბანი მისცა
იქ რომ იდგა მარტოხელა.
ოქენე გონიათ დავაყოვნე?
მოვიყრიფე ძალა-ოონე,
დავიწმინდე როგორც ბროლი,
და სოფლისკენ გავიქროლე.
მერე წისქვილს დავეძერე,
ღოლაბები დაგდარ ხელად,
და წვიმირის გასახარად
რაკრაკებდა სარეკელა.
მდინარეს რომ ვინახულებ,
ვიღომ უნდა დამტყნაროს;
მერე ზღვა და ოქანებ...
სულ მოვივლი მთელ სამყაროს!
ვმოგზაურობ... ამით ვხარობ,
მე წყარო ვარ, ვიღმი წყარო!



მაკერიანის წყალი

რა ცივია ეს მთის წყალი,
აკინძული მთის კურცხალი,
გულანჯარა, შხეფცინცხალი,
გიუმაჟი და დაუმცხრალი!
ცივი, ცივი ყინულივით,
ხან ბუტბუტით, ხან ლივლივით
მოდის, მოდის ქვევით, ქვევით,
ვერ აშინებს გზებზე ქვები.
ხან ახტება თავზე ლოდებს,
ხან ბრაზდება, ტალღებს მოსდებს
არ უდრკება არასოდეს!
გიუმაჟს მუდამ ემღერება,
მთის ყვავილებს ეფერება,
აქ ლოდს, იქ კლდეს ეძგერება
და გადმოქუხს ჩანჩქერებად;
ჩამოურბის ფიჭვებს- ვერხვებს
და უკოცნის ტალღით ფეხებს,
მაჩუხხუხებს, მორაკრაკებს,
მოიმღერის მთის არაკებს,
გზა-გზა აჩენს საბანაოს,
რომ შიგ ხალხი აბანაოს;
ოქტომბრელებს, პიონერებს,
ზურგზე ასხამს რძის ჩანჩქერებს,
ჩამოუვლის ლიბანს და ცემს,
მეგობრულად სალამს მისცემს,
მოიჩქარის დაბლა წალვერს,
რომ ბორჯომში „შავწყალს“ წაჰკვეს
და მეგობრულ საუბარში
გადაეშვან ძმურად მტკვარში.



გვალის გეგმიანი ცხოვრება

(პატარა ფილმი)


საქართველო
სიმამკიდინები

გადასწყვიტა ჩვენმა ვაჟამ
ჩაიმწერივოს ზუთები.
შუშაბის გეგმა სწერა,
ანაწილა წუთებიც.
გეგმა სუფთად გადასწერა,
ტურფად გააფერადა
და გააკრა მაგიდასთან —
სწორად, განა ცერადა!
მაშ—კარგია, რომ დღიური
გადაიცეს ორებად?!

ხვალიდანვე ვაჟა იწყებს
გეგმიანად ცხოვრებას.
„ხვალაც“ მოდის. ეზოს ბავშვება
გაუმართავთ თამაში,
არის ერთი ურიამული,
სიცილი და განგაში.
ვაჟას გული ალარ უთმენს,—
სურს მათში გაერიოს,
ომობანა ითამაშოს,
მტერი მოიგერიოს!

— ხვალ მოვასწრებ გაჯვეთილს
სწავლას, გამეორებას.
დღეს—თამაში, ხვალიდან კი —
გეგმიანი ცხოვრება!

მეორე დღეს ზერა მორბის,
ლელას, თფლი ასკდება—
— იცი, ბიჭო? დღეს „შვეიცა“
მიდის უკანასკნელად!
ვაჟამ სწრაფად გადასწყვიტა,
არ დაიწყო ზმორება:
— დღეს—კინოში, ხვალიდან კი
გეგმიანად ცხოვრება!
მაგრამ ვნახოთ, ჩვენს ვაჟიკოს



ზურს ფეხბურთის ყურება.
უქმე დღეა—სტადიონზე
ყველა მიეშურება,
და ვაჟამ კი ალარ ნახოს
პაიჭაძის თამაში?..
ვინ იქნება, რომ ეს ბიჭი
გაამტყუნოს ამაში!
ვაჟა ფიქრობს:—დედაჩემი
ნეტავ რისთვის ავდება,
მე რომ ფეხბურთზე წავიდე,
ამით რა დაშავდება?
გამოცდები მაზე უფრო
მეც, ხომ მემასხსოვრება?
დღეს—ფეხბურთი, ხვალიდან კი
გეგმიანი ცხოვრება!

ვაჟა ამბობს: — რა სანია
ბალში არ გამივლა!
იქ იქნება ჩვენი ზერა
კიაზ და ილია
მაშ, ბუზი ვარ—სახლში ვიწყო





ეროვნული
ციფრული


არქივის
მიერთება

შუთა გომოლოდ ტრიალი?
კულტურულად დავისვენებ,
განა ვიხეტიალებ!
გაზაფხულმაც მოატანა,
შეიფიოთლა ხეხილი.
ვაჟას სამი ორიანი
თავს დაატყვა მეხივით,
მაინც ამბობს: მე მოვასწრებ
ნიშნის გამოსწორებას!

ხვალიდანვე შევუდგები
გეგმიანად ცხოვრებას.
აქ კალენდარს თვალი ჰქიდა
გულზე ცეცხლი მოეკიდა.

ვაჟას თმები ყალყზე უდგას,
აღარ არის ვაჟა ფერზე:
გამოცდები! გამოცდები
მოსდგომია ცხვირის წვერზე!
რისი გეგმა, რისი სწავლა,
რისი გამოსწორება!
ჩაიფუშა ასე კოხტად
დაგეგმილი ცხოვრება!
ვინ ვაუძლებს ასეთ სირცევილს,
თუნდაც იყოს კაჟი-ქვა!
მე თქვენ გეითხავთ, მეგობრებო,
რა პქნას ახლა ვაჟიყამ?..

გარიყა მიშელაძე
ნახატები შ. ცხადაძის



ଶାର୍କି

ବ୍ୟକ୍ତି ଜୀବନ



վասթուղիմունկայաս

ମୁଁରା କ୍ଷେତ୍ରରେ ପାଇଁ ପାଇଁ ଆଶିନୀ ହେଲା,
ଅଳାର ଗାଇଶିବେ କ୍ଷେତ୍ରରେ କ୍ଷେତ୍ରରେ,
ଶରୀରରେ ଶୈଖିଦ୍ଵାରା ସାମିଶ୍ରମରେ ଥିଲା,
ଶରୀରରେ ଶୈଖିଦ୍ଵାରା କ୍ଷେତ୍ରରେ କ୍ଷେତ୍ରରେ.

დღეს საზეიმო ელფერი ადევს
მოსკოვს, ლენინგრადს, კიევს და თბილისს,
და როს ვიგონებთ შენ გმირულ სახეს,
გვჯერა სამშობლო მუდამ წინ იულის.

შენც ხომ ელოდი ამ სანატრელ უამს,
შენც ხომ ამ დღისთვის გასწირე თავი,
არ დაგვიწყებთ, დღესაც ჩვენთან ხარ,
ძეგლი დაიდგი მარად უკვდავი.

მტრისადმი ზიზღის ღიმილით ტუჩქე,
სახრჩობელაზე დალივ სული,
და ახლა, როცა შენ პორტრეტს ვუშერ,
ამ სირყვებს ვამბობ მოკრძალობული:

შენ კომქავშირმა გმირად გაგზარდა,
შენ სამშობლოსთვის გიძგერდა გული.
შენს მღუმარ საფლავს შევამკობ ვარდით,
შენი გმირობით ალტავიტო.

თავაზ ეგანობრე

ჩაშურის ქალაქის ვაჟთა საშუალო სკოლის მოსწავლე

როცა საზღვარს მოაწყიდა მტერი
დაუნდობელი
ის დიდ ოში წავიდა და დასტოვა
სოფელი.
რწმენა ჰქონდა ძვირფასი; დიადი და
ნათელი
და მტერს რისხით შეება უშიშარი
ქართველი.
სიყვარულით მიენდო უერთგულეს
იარაღს,
ღროშა გამარჯვებისა ცმდე ააფრიალა.
მან სამშობლოს წინაშე შეისრულა
ყოველი
გამარჯვებით დაბრუნდა გაახარა
შშობელი.

პლეისანდრე სამსონი
ბათუმის შე-2 ვაჟთა საშუალო კულტოს მოსწავლე.



პიონერი ტეტლა

07007 გიგლა ღლეს ცოლაში
განიცადა ციხარული.
პოვიტი გახდა და მას
ციხარულით უძგის გული

କଳିଲୁଆରା ଟେକିଗା: - ଦେଖିବାନଙ୍କୁ ଜାଗି
 ଶୁଣିବିଲୁଏ ବାପ ବାପରୀରେ
 ଏହା ଏହା କୁଠାକୁଳିଗତ
 ମାତ୍ରାକୁମାରାବ୍ଦ ବାପରୀରେବେ
 ଏହା ଦ୍ୱାରାକାରୁଃ : ହିମାନ ମାଥି!
 ଶୁଣ କେବା ମଞ୍ଚରୀ କବ୍ୟକୁ ମହିଳା,
 କାହିଁ ପରିଷାପିଲାନଙ୍କୁ ଶୁଣି କୁଠାକୁଳି
 କାହିଁ ପରିଷାପିଲାନଙ୍କୁ ଶୁଣି କୁଠାକୁଳି

Digitized by srujanika@gmail.com



შემოქმედება



ტრის ციხესიმან

ის გორის თავზე ციმციმებს
მრავალი ტანჯვის მნახველი,
წელთა სრბოლამ და სიმძიმეშ
ვერ შეურყია სახელი.

ვდავარ თვალგაბრწყინებული
მის ჩამონაგრეულ კედლებთან
სიამით მითოთის ეს გული
და სიამაყე მედება.

მის ყოველ ადგილს და კუნჭულს
ვეტრფი და ვეთაყვანები,
მან სრამაყით ამანთო
და გამიბრწყინა თვალები.

ო, რა დიდებით მოსილა
მისი დიადი წარსული.

აქ ბევრჯელ გადატეხილა
ხმალი თურქული, სპარსული.

აქ ნაეარდობდა ხალისით
დიდი ყრმა გორელ ბიჭებთან,
ამ ადგილიდან ხალხის თვის
ყრმობითვე მზის შუქს იჭერდა

ბაზალეთში რომ ეგონათ
იგი აკანი იქ იყო.

აი, რათ მატკმობს ეს კუთხე
და სიამაყე რათ მიყრობს.

ავთანდილ ცანი
თბილისის XI ვაჟთა საშუალო
სკოლის მოსწავლე



წუთით შესდგა. თვალი მოავლო ქუჩაში მოსიარულეთ, მარცხენა ხელით ჯიბიდან პაპიროსის კოლოფი ამოიღო, ფანჯრის რაფაზე დასდო, გახსნა, პაპიროსი მოუკიდა და შენასუნთქი ბოლი რგოლებად გამოუშვა.

ნელა გაპყვა ქუჩას ხიდისაკენ.

ხიდს მიაღწია. ყავარჯენი იქვე მიაყუდა და მოაჯირის დაეყრდნო. ყველაფერი ახარებდა ომგადახდილ მხედარს.

ამ დროს ბაეშვების მხიარული ერიამული მოესმა. მოიხედა. თითისხელა ბალლები მწყობრად მოაბიჯებდნენ. გაუხარდა. მისი მანანაც მათი ტოლია... ჰე, როგორ გაგრძელდა გზა. ფიქრობდა ვაჟყაცი.

— მამა, მამა!

მოესმა მას უცებ ბავშვის ნაცნობი ხმა. გამოერევა მისკენ მორბოდა თვალცქრიალა გოგონა.

— მამა, მამიკ!

ამ სიტყვებით მიიჭრა მასთან გოგონა.

— შვილო!...

აღმოხდა მხედარს და გულზე მიიკრა ნუგეში დიდენს იყვნენ ასე. მას დაწვებზე სიხარულის ორი მომცრო ცრემლი ჩამოუგორდა. ჰკოცნიდა, ეხვეოდა შვილს.

გოგონამ შეათვალიერა მამა. მკერდზე ორდენები შევაჩინია.

— მამიკ, რამდენი ორდენები გაქვს!..

შემდეგ მოჭრილ მარჯვენაზე დააკვირდა და სახე შეეცვალა. მაინც არაფერი უთქვამს.

— მამა, წავიდეთ სახლში!

მამა—შვილი ნელი ნაბიჯით გასცდნენ ხიდს.

ავთანდილ გახსილაპე
თბილისის მე-19 ვაჟთა სკოლის მოსწავლე





ჩვენი პიონერული ცხოვრება



ჯიღვეს მოღოღინში

სკოლა ახლა უკვე თითქმის აჯამებს თავის შუშაობას. იწუბა საგამოცდო სამზადისი ცხარე დღეებია თბილისის შე 4 ვაჟთა სკოლაში. გამოვიდა სკოლის კედლის განეთი „მოსწავლეთა ხმა“, მიძღვნილი გამოცდებისადმი. ქართული ენისა და ლიტერატურის მას-წავლებელმა მოწაფეთა შორის ჩატარა საუბრები: „ბატონყმობა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“, „ირადიონ ევდოშვილის შემოქმედების რეკოლუციური მოტივები“... სკოლაში გმოდის უურნალი „ჩვენ გავიმარჯვეთ“. მოსწავლეებმა თავიანთი უურნალის ცალკეული ნომრები მიუძღვნეს მნიშვნელოვან საკითხებს: „ბელადის სახე ქართულ ფოლკლორში“, „შიო მოვიმელი, როგორც საბავშვი მწერალი“, „იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“.

მექენიკულასელი პიონერი ვახტანგ ცქიფურიშვილი, სამაგალითო მოსწავლეა. მან ინტერესი გამოიწვია თავისი ნამუშევრით „კოლეგურნის კარ-მიდამო“ და „საქართველოს რელიგიის რუქა“. ის ახლა ეხმარება ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩამორჩენილ ამხანაგებს. ქარგ მოსწავლეთ ითვლება აგრძოვე მექენიკულასელი პიონერი თემურ მუსხელიშვილი. მან ზმის გარდამვლობაზე შეიადგინა მასალები. დასწერა მოთხრობა „ვანო ბალში“, სადაც ნაჩვენებია გარდამავალი ზმების თაესიებურებანი.

სკოლის № 8 პიონერიაზმა თავისი შეკრება საგამოცდო სამზადის მიუძღვნა. შეკრებაზე მოხსენებით ხუთოსანი რეზონი ნიკოლაიშვილი გამოვიდა. შეკრებაშე აზრი ვამოსთევა მოსწავლე ნოდარ ხუციშვილმა. პიონერმა ზაალიშვილმა უამბო ამხანაგებს. თუ როგორ დაიყვანა მეცადინეობითა და ამხანაგების დახმარებით ხუთი ორიანი ერთამდე.

ახლა ამასც გამოვასწორებ,—დაამთავრა მან თავისი ნამდობი.
მალე მოვა გამოცდების დღე. გისურვებთ წარმატებას, ამხანაგებო!

არა არა თვალთვალი

კარგი შედეგი

განმეორება დაიწყო, მე და გოგიმ რეეიმიც შევიმუშავეთ. ნასაღილებს, ყოველდღე ვიკრიბებოდით. ვიმეორებდით განვლილ მასალას. ერთ დღეს მოულოდნელად ჩვენი კლასელი თემთ მოვიდა ჩვენთან. გვეხვეწა, ბურთი ვითამაშოთო, —უარი ვუთხარით. მან მეორე მოვიდა მოირბინა, კინოში წავიდეთო, —არც მაშინ დავეთანხმეთ. შემდეგ თვრთოვე, რე დღესაც მოირბინა, გვესიამოენა. თანდათანობით დაეტყო თემოს გამოსწორისა ჩვენთან მეცადინეობა, გვესიამოენა. თანდათანობით დაეტყო თემოს გამოსწორისა ჩვენთან მეცადინეობა, გვესიამოენა. მათემატიკა განსაკუთრებით არ ეხერხებოდა მაგრამ ჩვენთან ერთად შეცადინეობის ჩვენი დღეები. მათემატიკის მასწავლებელი გაოცდა. შესანიშნავად გადასწუყის თემოს ამოცანა.

— კარგია, ყოჩალ! — სთქვა მასწავლებელმა.

მესამე დღეს როდესაც ქართულის მასწავლებელმა საკონტროლო წერის შედეგები გამოგვიცხადა, აღმოჩნდა, თემი ნემსაძეს ხუთიანი მიეღო. მშვენიერად დაეწერა მესამე თემა „შემოდგომის აზხაურები დავით კლდიაშვილის „სოლომონ მორბელაძის“ მიხედვით.



პიონერი გივი დოლიძე



(ერთმოშემდეგიანი პიესა)

მოცეაზილენი:

ანა — დედა		ანას შვილები
ნათელა		
ოთარი		

ვასო, ოთარის ამხანაგი

მოქმედება სწარმოებს თოაში, სადაც დღას
სამუშაო მაგიდა, სავარმელო და წიგნის კარადა.

ნათელა — (ოთახს ალაგებს და თან მღე-
რის, შემოდის თოარი ჩანთით
ხელში. ჩანთას გადაისვრის მაგი-
დაზე, შემდეგ გაიხტოს პალტოს
და მიაგდებს სავარძელზე).

ნათელა — გვიან მოხველი დღეს! ოთარ,
შენ ყოველთვის ასე იცი ყველა-
ფრის მიყრა-მყრა. ის, ახლაც —
იქ პალტო მიაგდე, აქ ჩანთა. რა
უშესრიგობა! (პალტოს ჩამოჰ-
კიდებს, ჩანთას წესირად დას-
დებს იქვე მაგიდაზე).

ოთარი — წურდლუნებ... უშენოდაც
მერევა გული.

ნათელა — ოთარ, ეგება არ მოსწეროს და
დედაც პრაფერს. შეიტყობს — ჰა?

ოთარი — მოსწერს. ვასომ თავისი ყუ-
რით მოისმინა, ის რომ ჩვენს
მისამართს კითხულობდა.

ნათელა — შენ ხომ განგებ არ ჩაიდინე,
ასე რომ არ გექნა, ბურთს გაი-
ტანდნენ. პოდა, ვასო ამბობდა...

ოთარი — ვასო! ვასო! გაიძახი, შეაწუხე
გული. ჩამტერეულ მინას კი
აღარ კითხულობ, მით უმეტეს
რომ სარეკისა იყო. ის ქალი გაჰ-
კიოდა ათასი მანეთი ლირსო. მე-
რე და სად ვიშოვოთ ჩვენ ათა-
სი მანეთი?

ნათელა — ოთარ, იქნებ იაფადაც შეიძლე-
ბოდეს მისი შოვნა. ეგება შევძ-
ლოთ და თავი მოვუყაროთ ამ

ფულს. მე დღეიზან ნაყინა აღარ
ვიყიდი.

ოთარი — დამეტსენ შენი სისულელეებით!

ნათელა — ერთიც ვნახოთ და ის ქალი და-
წყნარდა და მოგეშვა, მაშინ?

ოთარი — რანაირად მომეშვება, როდესაც
ვასომ თავისი ყურით გაიგონა,
როცა იმ ქალმა სთქვა: მიღიცია-
საც მივწერ და მის დედასაცო,
ესე იგი ჩვენს დედას.

ნათელა — ოთარ, იქნებ ფოსტამ დაკარგა
კიდევაც წერილი, ხომ უკვე სა-
მი დღე გავიდა?

ოთარი — ეხ, ფოსტა არაფერსაც არ და-
კარგავს.

ნათელა — რატომაც არ დაკარგავს? აი
აგერ რამდენი ხანია მამას წე-
რილი აღარ მოდის. გუშინ დედა
რომ სტიროდა, დეიდა თამარმა
უთხრა ფოსტამ დამნაშავეო. შენ
რა, ფაფას არ შეჭამ?

ოთარი — არ მინდა.

ნათელა — კარაქი და პური გინდა?

ოთარი — სად არის საფოსტო ყუთის გა-
საღები?

ნათელა — ლურსმანზეა დაკიდებული.
(ისმის კარის კაკუნი).

ნათელა — (შემკრთალი) ოთარ, ფოსტა-
ლიონი რომ იყოს?

ოთარი — იყუჩე! მე გავხედავ (მიბარვით
მიდის კარებთან. კაკუნი მეორ-
დება).

ნათელა — რა მაგრად აბრახუნებენ!

ოთარი — ვინ არის?

ვასო — (სცენის იქიდან) მე ვარ, ოთარ,
გააღე კარი!

ნათელა — (შემსუბუქებით) ვასოა თურმე!
(შემოდის ვასო).

ვასო — როგორ არის საქმე?

ოთარი — ისევე, როგორც იყო.

ვასო — წერილი ჯერ არ მოსულა?

- ოთარი** — ჯერჯერობით არა.
ნათელა — შე და ოთარი პირდაპირ დავი-
 ტანჯვეთ.
 ბრინჯში მოხარულ გოგრას არ
 უჭირამ, ბიჭებო?
- ვასო** — არა, მე უკვე ვისადილე. აბა რას
 მოწყინე, შეკარევ? ხომ მაინც
 ჩვენებმა მოიგეს! სამით ნული,
 მე აღარ ვთვლი შენს იმ გოლს,
 ფანჯარას რომ სტყორცნე.
- ოთარი** — შენ სულ ოხუნჯობ.
ვასო — კარგი, მეუვე ხასიათზე ნუ ხარ.
 თავს ხომ არ მოგვკეთენ.
ნათელა — (აწყვეტინებს) მთავარი დედაა,
 ის ისედაც განერვიულებულია:
 მამას ამბავი აწუხებს, ახლა ეს
 ამბავიც თუ დაემატა.
ვასო — აბა, ახლა შენ ვადაფინე მწუხ-
 რის ზეწარი.
ნათელა — მაშ თქვენ ბრინჯში მოხარულ-
 ლი გოგრა არ გინდათ, არა?
 ბრინჯითაა ბიჭებო!
ვასო — არა, არ მინდა. თქვენ ყურებაში
 მეც მუავე ხასიათზე შევიქენი.
 ოთარ, მომეცი ერთი შენი გრა-
 მატიკა. მე მერე კიდევ შემო-
 ვივლი. (მიღის).
ოთარი — სად არის საფოსტო ყუთის გა-
 სალები?
ნათელა — ხომ გოთხარი — ლურსმანზეა
 მეთქი.
ოთარი — აქ არ არის.
ნათელა — ალბათ ჩამოვარდებოდა.
 (ეძებენ გასალებს)
ოთარი — (შეშინებული) დედამ არ შეი-
 ნახა ვითომ ის?
ნათელა — არ ვიცი... აი, ვიპოვნე!
ოთარი — მომეცი (გავარდება გარეთ. ნა-
 თელის ჭამბიზეანებლად მოს-
 ახებს) არ გამომედევნო!
ნათელა — (გამოლებს კარებს და თვალ-
 ყურს ალევნებს, თუ რა ხდება
 ცერეფანში) აღებს... უი, მგონი
 წერილი! დედა მოვიდა! აი სა-
 შინელება! რა მოხდება ახლა?
 (მირბის დედის შესახვედრად)
ოთარი — (შემოჩენის მიზანით წერილით
 ხელში) აი ესეც, წერილი! დედა
 ახლა შემოვა (აქეთ-იქით აწყ-
 დება, შემოზიან დედა და ნათე-
 ლი. ოთარი პირით დედისკენ
 დგება და ზურგს უკან მალაჟს
 ხელებს, რომელშიც წერილი
 უჭირავს).
- დედა** — წერილი არ ყოფილა?
ოთარი — (არადამიჯერებლად) ურთიერთი უ-
 ყოფილა.
ნათელა — დედიკო, გინდა ბრინჯით მო-
 ხარული გოგრა?
დედა — (უყურებს ოთარს) შენ დღეს
 რაღაც აშლილი მეჩვენები, ლო-
 ყებიც აგწითლებია. თავი ხომ
 არ გტიგა? (მიუახლოვდება
 ოთარს და შუბლზე ხელს და-
 დებს).
ოთარი — (ერიდება) არა მტკიდა.
ნათელა — დედიკო, უცელაფერი გაცივდა.
დედა — (მიღის მაგიდასთან) მოვდივარ,
 მოვდივარ ჩემო პატარა დიასახ-
 ლისო (ოთარი მდგომარეობის
 შეუცვლელად ხელით დახვეს
 წერილს და სავარძელს ქვეშ
 შეაგდებს).
ნათელა — (ნელა) დახიე?
ოთარი — გაჩუმდა!
დედა — დავიღლე, ჩემო ბავშვებო!
 სახლში კი უცელაფერი კარგად
 არის. საღილიც ძალზე გემრიე-
 ლი გაქვს ჩემო გოგონავ, პირ-
 დაპირ საუცხოვა.
ნათელა — (ამაყად) ბრინჯით გოგრა, ცუ-
 დი არ არის, დედიკო.
დედა — ეჲ, ნეტავ მმას კი ცუდი არა-
 ფერი შემთხვეოდეს. ოთარ, შვი-
 ლო შენ რატომ არაფერს არ
 მიამბობ შენი ფეხბურთის მატ-
 ჩის შესახებ? მე სულ გადამა-
 ვიწყდა მეკითხა შენთვის: რით
 დამთავრდა თქვენი თამაში?
ნათელა — სამით—ნული ოთარის გუნდის
 სასარგებლოდ.
დედა — შენ გულგრილი მეკარე მყო-
 ლისა, მაშასადამე, გაწუწულ
 ქათამივით გამოიყურები, გა-
 მარჯვების იერი სულ არ გატ-
 ყვია. სკოლაში თუ გაქვს საქმე
 ცუდად?
ოთარი — არა, არაფერი. (ისმის კაუნი).
 ნათელა მირბის კარების გასაღე-
 ბად. ვასო სცენის გარეთ მღე-
 რის: „ჰეი მეკარევ, ემზადე
 ბრძოლისათვის“...)
ვასო — (შემოღის) სალაში დეიდა ანა!
დედა — სალაში, ჩემო ვასიკო!
ვასო — ოთარ, მოდი ჩემთან.
ოთარი — ჰა?
ვასო — წერილი არ მიიღოთ?
ოთარი — ჩუმად, შენ! (თვალებით აჩვი-
 ნებს დედაზე).

- ვასო** — (მხიარულად) არც მიიღებთ!
ოთარი — როგორ, აკი უკვე...
ვასო — უკვე კველაფერი მოგვარდა!
ოთარი — როგორ თუ მოგვარდა?
დედა — (ყურს) მოკრავს უკანასკნელ სიტყვებს)
 რაო, რა მოგვარდა, ვასიქო?
ნათელა — (აჩქარებით) ეს ისე დედიკო, ესენი, ალბათ, თავიანთ ფეხბურთზე ლაპარაკობდნ.
- ვასო** — დიახ, სწორედ ფეხბურთზე ვლაპარაკობთ, დეიდა ანა, აი, ოთხშაბათს რომ ვთამაშობდით, უკ, რა თამაში იყო, ნამდვილად „ცედექასა“ და „დინამოს“ შორის თამაშს შეეძრებოდა. როდესაც ჩვენმა გუნდმა საში ბურთი ჩააგდო მოწინააღმდეგის კარტებში, თამაში ისე შეტრიალდა, რომ ჩვენ საჯარიმო დარტყმა მოგვისაჯეს ოცი მეტრის სიშორიდან, ჰოდა, ჩვენც მაშინვე ოთარს შევუჩნდით, აბა შენ იცი მაგრად იყავიო.
- ოთარი** — (შეშინებული, ნელა) ვასო, რა დაგემართა, გადირი თუ?..
ვასო — (ოთარს ყურს არ უგდებს) ჰოდა, აი მაშინ მოხდა, რაც მოხდა.
ოთარი — (აღშფოთებული) ამას კი აღარ მოველლდი შენგან, ამხანაგი კი გვია!
- დედა** — ოთარ, დაჩუმდი ერთი წუთი!
 რა მოხდა მერე, მერე?
ვასო — აი რა, როცა საჯარიმო დაარტყეს. ოთარმა ბურთი დაიჭირა, თუმცა ძალიან ძნელი კი იყო. პირდაპირ, რომ იტყვიან, მკვდარი ბურთი იყო...
დედა — ხედავთ რაში ყოფილა საქმე! გაჩუმებული კი ხაჩ, ჩემო შავთვალა ბიჭო, ასე რამ დაგასერიობულა?
ვასო — დეიდა ანა, ასეთი კარგი ბურთი რომ დაიჭირა ოთარმა, გაგულისხმებულმა ერთი მაგარი დარტყმა თავის წილადაც უთავაზა ბურთს. ის კი თითქოს განვებ სათმაშო მოედნის პირდაპირ მდებარე სახლის მესამე სართულის აივნიდან ოთახის სიღრმეში შევარდა.
დედა — (შეშფოთებით) ესე იგი შუშები ჩალეჭეთ?! ოთარ, მერე შენ ჩატომ არაფერი მითხარი ამის შესახებ, რატომ სღუმხარ?
- ნათელა** — დედიკო, ალბათ, ჯერ ვერ მოაწყო. ფიქრობდა, რომ შენ წერილით შეიტყობდი ყველაფერს.
დედა — რომელი წერილით?
ნათელა — იმ წერილით, რომელიც დღეს მიიღო.
დედა — რომელი წერილით, რომელით?
ოთარი — იმ ქალის წერილით, რომელსაც შუშა ჩაუმტკირი.
- დედა** — მერე სად არის ის წერილი?
ოთარი — მე ის დავხირ.
- დედა** — (გაბრაზებით) მაშ შენ გინდონა დაგემალა დედისათვის, რაც შეგემთხვა, გინდოდა ჩემი მოტყუება?
- ვასო** — არა, მაგას ეშლება, არავითარი წერილი არ უნდა მოსულიყო. ესეს არის ჩვენ ორივე გუნდის ყველა წევრი იმ ქალთან ვიყავით. ოთარი მარტო ხომ არ იყო დამნაშავე, მან თუ მანამდე ჩვენ გვასახელა და ის საერთო გამარჯვებად მივიჩნიეთ განა ახლა მისი შემთხვევითი მარცხი — ჩვენი მარცხი არ იყო. ამიტომ ყველანი ერთაუ მივედით იმ ქალთან და საერთოდ მოვუხადეთ ბოლიში, ერთმანეთს შორის შევკრიბეთ ფული და ხელოსანს ჩავასმევანეთ ჩამტკრეული მინა. ის ქალი შეგვირიგდა, აღარ ჯავრობს და სოქვა, რომ არავითარ წერილს იმ თქვენი ფალავნის დედას მე არ მივწერო, ესე იგი არც მოუწერია — და შენ კი (მოუბრუნდება ოთარს) ამტკიცებ რაღაც წერილის თეორიას. მე ახლა მოვედი, რომ ყველაფერი ეს გაღმოგცეთ და დაგაწენარო, ოთარ!
- ოთარი** — (განცვითებით) როგორ თუ არ მოუწერია? მაშ მე რა... (ეცემა სავარძელს, ძერება მის ქვეშ და გამალებით ჰქონეს წერილის ნახევებს. ხელში აღებს ერთ შედარებით დიდ ნაგლეჯს და კითხულობს) — „ბავშვებს აკოცე“ (წამოიძახებს), მამახემისგანაა.
- ნათელა** — წერილი მამასგანაა, მამასგან (ხტის სიხარულით).
- დედა** — (გახარებული) მამასგან! როგორც იქნა (ოთარს საყვედლით) რა ჰქენი, ეს ოთარ!

ვასო — არა უშავს, დეიდა, ჩვენ მას ახლავე აღვაღებთ.

(ვასო და ოთარი სავარძელ ქვეშ ძვრებიან და კრეფენ ქალალდის ნაჭრებს).

ნათელა — უჰ, რა პატარ-პატარა ნაკუწებად გიქცევია, ოთარ, შენ კი რა გოთხარი? ცოტა დიდად მაინც დაგეხია, ბიჭო!

ვასო — აბა მოიტათ ყველა, აი, აქ მაგიზაზე.

დედა — მომეცით დავაწყობ! ასე... ეს აქ, ეს კი მე მგონი აი აქ უნდა იყოს.

(ყველანი დახრილნი არიან მაგიდაზე)

დედა — ესეც ასე. (კითხულობს)
„ტერფუქსო ანა! მაბატიერომ ამდენ ხანს დაგიგვიანე წერილი.
ვწევარ პო'პიტალში. მალე ჩამოვალ და ყველაფერს დაწერილებით პირადად მოგიყვებით.
როდესაც ჩამოვალ, ჩვენს ნათელას საჩუქრად დიდ ფაიფურის

თოჯინას ჩამოუტან, ოთარ კი... ამ აღვილას სიტყვა ამოგლეჭლია, ნეტავ რა ეწერება?

ოთარი — (შემფოთებული) როგორ თუ ამოგლეჭილა? (შეძერება სავარძელ ქვეშ. ნათელა და ვასოც მას მიბაძვენ) ვიპოვნე!

ნათელა — უჰ, გამიშვი, ოთარ, ეს ხომ ჩემი თმის ბაბთაა ბიჭო!

ვასო — მეტი არაფერი სჩანს, იატაჟში თუ ჩავარდა.

დედა — აბა, გამოძვერით, ბავშვებო! გეყოფათ იატაჟზე ხოხვა. მთავარი წავიკითხეთ.

ოთარი — (თითქმის ტირის) როგორ თუ მთავარი, დედიკო! ის რომ ვერ ამოვიკითხეთ, თუ მამა რის ჩამოტანას მცირდება!

დედა — რას ვიზამთ? შენ თითონ ხარ დამნაშავე, შენ დახივ მამის წერილი და აი, სასჯელიც მოგეზღო.

ნათელა — აი, ამისათვის კი გეკუთვნის შენ საჯარიძო დარტყმა!

(ფ ა რ დ ა)





შერისძიება

(ისტორიული ლეგენდა)

პარსეთის მეფე ქვირისმა და-
იპყრო აზიაში მრავალი ქვეყა-
ნა და მიაღვა დიდ მდინარე
არაქსს, დაბანაკდა და მისწერა
ამ მდინარეს გაღმა მდებარე
ქვეყნის მასაგეთის მეფეს თო-
მირის:

„მე, ქვიროს დიდმა, დავიბყარ ეგვიპტე
და აზის მრავალი ქვეყანა: კილიკია, მი-
ლეცი, ლილია, მილია, ბაბილონი, ასურეთი
და ახლა მსურს გავხდე შენი ქვეყნის, მა-
საგეთის მფლობელიც. შენ უნდა გამომყვე
ცოლად და შენი ქვეყანაც ნებაყოფლობით
შემოუერთო ჩემს დიდ სამფლობელოს. თუ
შენ ამის თანახმა არ იქნები, იმ შემთხვევაში,
გამოგი არაქშე შენი ჯარით, ან მე
შემოვიყვან ჯარს შენს ქვეყანაში და მე,
როგორც ყოველთვის, გავიმარჯვებ, შენ
ქვეყანას ნაცარტუტას ავადენ, ავაოსხებ
და შენ და შენს ხალხს ჩემს მონებად გავ-
ხლით“.

როდესაც ეს ეპისტოლე მიიღო მასაგე-
თის მეფე თომირისმა, შეკრიბა თავის ვე-
ზირები და წაუკითხა კვიროსის წერილი.

— აი, დიდებულნო, რას იწერება. სპარ-
სეთის მეფე კვიროსი.

დიდებულნი აენთნენ:

— როგორ ბედავს კვიროსი ამგვარი კად-
ნიერების მოწერას.

— კვიროსის შეუძლია ყველაფერი გაბედოს...

— ჩვენ არასოდეს არ დავემორჩილებით
კვიროსს.

— ჩვენ არ დავემორჩილებით, მაგრამ მე
კვირობ, იქნებ უბრძოლველად მოვავა-

როთ საქმე... კვიროს მეფეს დიდი ჯარები
ჰყავს, საუკეთესოდ შეიარაღებული... —
საქვა ცოტა ფიქრის შემდეგ თომირისმა.

— ჩვენ, მასაგეთის ხალხი არასოდეს არ
უაეთანხმდებით, რომ ჩვენი მეფე თომირი-
სი მძიმელობის სპარსელს...

— არც მე დავთანხმდები, მხოლოდ მე
მინდა კვიროსს ვერჩიო ხელი აიღოს ჩვენ-
თან ბრძოლაზე. ის რა მივწერე კვიროს მე-
ფეს, მოისმინეთ, და თუ თანახმა იქნებით
გავგზავნოთ. — და უბრძანა მან მწერალს
წავითხა საბასუხო ბარათა.

მწერალმა გაშალა გრძლად დახვეული
პაპირუსი და წაიკითხა:

„მე, მასაგეთის მეფე, თომირისი გრერ
შენ, კვიროს მეფეს, შენი ებისტოლეს პა-
სუხს: ანუ თუ არ გეყო ამდენი ქვეყნის
აწიოკება, აოხრება და დაბყრობა. ნუ თუ
არ გეყო ამდენი სისხლისლვრა. რას ეძებ,
რა გსურს ჩვენგან? ჩვენ მდიდრები არ
ვართ და, იმას რასაც შენ ფიქრობ, ოქრო-
ებს, ვერ იძოვი ჩვენ კარვებში. მე და ჩემი
ერი გირჩევთ შეჩერდე, ხელი აიღო ჩვენ-
თან ბრძოლაზე, დაუბრუნდე შენს ქვეყანას,
მოასურონ შენი ხალხი და განაგო და მოუ-
არო შენს ქვეყანას მშვიდობინალ. ჩვენც
მოგვცეთ საშუალება ვიცხოვროთ დამშვი-
ლებით ჩვენ ქვეყანაში. მაგრამ თუ მაინც
ამამანც არ დაგიშლია და გინდა ომი, ჩვენ
შზად ვართ. თვითონ გადმოდი მდინარეზე
და იარაღმა გადასწყვიტოს ჩვენი ბელი.
იცოდე სიმართლე ჩვენ მხარეზეა და გეში-
ნოდეს სამართლიანი სასჯელის.“

მასაგეთის მეფე თომირისი“.



ქაბუკი სარგაპისესი სდუმდა...

განრისხდა კვირისი, როდესაც თომირისის წერილი მიიღო, მაგრამ კიდევ უფრო გაჰყენიდა: „როგორ თუ, მასაგეთის მეფე, დედაკაცი მიძედავს მე დიღი სპასეტის უძლეველ მეფეს, დიდ კვირისს ამგვარი პასუხის გამოგზავნას“ — იფიქრა მან და მაშინვე ბრძანა ლაშქრის გადასხმა მდინარეზე.

თომირისიც შეუდგა მზადებას. მან გადაწია მასაგეთის მოსახლეობა მდინარის ნაპირიდან სამი დღის სავალის მანძილზე. გამოიყანა ერთს წინაშე თავისი შვილი, ჭაბუკი სპარებაპისესი და უთხრა შეკრებილთ:

— აქა, მასაგეთის ერო, გაძლევ ჩემ ერთადერთ შვილს, ის გაწროვნილა მეომრად, მას უყვარს თავისი სამშობლო და თვისი ერო. მას უყვარს თავისუფლება და თქვენთან ერთად, მე მჯერა, არ შეარცხვენს თვისი ქვეყანას, არც მე—თქვენს მეფეს და დედას. დაიცავით სამშობლო და გაიმარჯვეთ.

— დავიცავთ, დავიცავთ, მეფეო! — შეძახა ხალხმა. — შენ მაგიერად ახლა შენი შვილი იქნება ჩენი წინამდობლი, ჩენი მთავარსარდალი. ის გაამართლებს ერისა და შენს იმედს.

სამი თვე იბრძოდნენ მასაგეთის ხალხი და სპარებები. აცივდა. მასაგეთის ხალხს, როგორც მთის მცხოვრებთ, სიცივის არ ეშინოდათ. კვირისი ხედავდა, რომ უპირატესობა მასაგეთის მხარეს იყო და ხერხს მიძართა. გადასწყვიტა მოტყუებით ჩაეგდო ხელში მასაგეთი. მოაწყო მდინარის ნაპირას თავის ბანაქში დიღი, მდიდრული ტრაპეზი ჯარისათვის: მოატანია შემწვარი და მოხარშული სურნელოვანი სანელებლით

შეზავებული ნადირისა და ფრინველის ხორცეულობა, აუარებელი ტკბელურზე ცა ცხერები, ნაზუქები, შარბათები, კუსტომის ჩამიჩი, შაქარლამები და, რაც მთავარია, არაყი და ღვინო. ყველაფერი ეს დასტოვა ბანაქში სუფრებზე გაწყობილი, თვითონ უამისი ჯარი კი, ხომალდებში, და ნავებში ჩამსხდარნი, მდინარის მოსახვევში მიიმაღნენ, ბანაქში შეოლოდ ცოტაოდენი ჯაბანი მცველები დასტოვა.

მეორე ღილით, როდესაც მასაგეთის ჯარი გამოვიდა საომრად ყიუინით, მათ პრემონესმათ სპარებების საბასუქო საომანი ყიუინი.

გაეკირებული მიუახლოვდნენ სპარებების ბანაქს და ნახეს იმათი კარვები დაცარიელებული, ხოლო ჯარებისათვის დაშზადებული საოცარი საჭმელები და მცირერიცხოვანი მცველები.

— გაქცეულან სპარებები! — იგრიალ ჯარმა.

— გაქცეულან, გაქცეულან! — გრგვინავდა ჯარი სიცილით და მათ დაულიტეს დატოვებული მცველები, ზოგიც შექრეს ტკეცედ წასაყვანად.

შეცვივდნენ მდიდრულად მორთულ სპარსულ კარვებში. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა ნუგბარი საჭმელებით დატვირთულ სუფრების დანახვაზე. მასაგეთის ხალხს არასოდეს არ უნახავს ასეთი გემრიელი საჭმელები. ისინი ხომ უბრალო მომთაბარენი იყვნენ, ცხოვრობდნენ უბრალოდ, უბრალო კარვებში, იჯებებოდნენ უბრალო საჭმელებით. ტკბილეულობა და ლეინთ თავის ღლეში არ უგემიათ და აქ კი ამორენი საუცხოო რამ! ისინი მხიარულად შემოუსხდნენ სუფრებს. ყველაფერი მოეწონათ, ტკბილეულობა და განსაკუთრებით კი ღვინოები, რომელიც ისე სააშრი რაქრაკით ჩადიოდა ყელში, აღფრთოვანებდა, ახალისებდა და ამხიარულებდა მათ გულს. განა შეიძლებოდა არ დაელიათ ასეთი სისმელი და ლალია კიდევაც ყველამ, ყველამ მთელმა სარდლობამ და ჯარმა. დაითვრნენ და დაიძინეს უდარდელად, სიხარულის ძილით.

კვირისი სწრაფად დაბრუნდა ჯარით, თვეს დაესხა მასაგეთის მძინარე ჯარს, ბევრი ზახოცა, ბევრიც ტკეცედ შეკვრევინა. ტკეცებში მოჰყვა ჯარის მეთაური ჭაბუკი სპარებაპისესიც, მეფე თომიჩისის შვალი.

როდესაც სარგაპისესი გამოიფეხიზლდა და გაიღვიძა, კვიროსმა მოაყვანინა ის და უთხრა:

— ახლა ხომ დარწმუნდი სპარგაბისეს, რომ სპარსეთის მეფე კვირისთან ომი არ ძალიათ მასაგეთელებს. მაში ჩამაბარეთ თქვენი სიმზიზრე, თქვენი ჯოგები, ოქვენი მეფე და თქვენი მიწაწყალი.

კაბუკი სპარგაბისეს სდუმდა გარინდებული თითქოს არც შეკვდარი იყო და არც ცოცხალი. მისი მამაცური, ლამაზი სახე სრულიად გაფიტრებულიყო მწუხარებისა-გან.

— მეფევ, — მიმართა მან კვირისს, გა-მისენით ხელები და მაშინ გეტივი ჩემპა-სუს.

კვირისმა ბრძანა გაეტსნათ ხელები და დამცირავი ღიმილით შესცემროდა მას. გაუტსნეს თუ არა ხელები, სპარგაბისესმა თვალის დახამხამების უმაღლ გამოსტაცა იქ-ვე მდგომ სპარსელ შეომარს შუბი და შეს-ძახა:

— აპა, ჩემი პასუხი, — წამოეგო შუბზე და განუტევა სული.

კვირისი არ ელოდა, ამას, დაიჭმუხა და განრისხებულმა ბრძანა დაუყოვნებლივ თავდასხმოო მასაგეთის ხალხს, ამოეწყვი-ტათ და მასაგეთი ჯამონებულ ქვეყნად გა-ეხადათ.

შოსდევდა ცხენოსან ქალთა დაღი რაზმი, სპარსელები თვალებს არ უჯერებდნენ. მათ არასოდეს არ ენახათ მეომარი ქალიბი უაყი- ქალებს თავზე ტყავის მუზარადები მუზარ- ა და მუზარადს ქვეშიდან იმათი გარილი გრძელი თბა ღრმოშებივთ ფრიალებულნენ სივრცეში, ფეხებზე ტყავის სანდლები ეც-ვათ და ტყავის ფარებით იცავდნენ თავს. ელმი ყველას მომართული შვილდისარი ეცირათ და არც ერთს არ აცილებდნენ სპარსელების მკერდს. შეომარ ქალებს მო- ჰყებოდა რაზმებად დაყოფილნი, შშეილ- ისრებით, შუბებით, შურდულებით და კე- ტებით შეიარაღებული მამაკაცთა შვერთი ჯარი.

ქალები თქარათქურით შოაჭენებულნენ ცხენებს ყუინითა და კივილით:

— არ შეგარჩენ სპარსელებო, ჩვენი შვილების, ძმებისა და ქმრების დაჟლეტას და შერცხვენას. ვერ დაგვიმონებთ... ჩვენ დავიცავთ სამშობლოს!..

და გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

იჯლიტებოდა ხალხი უწყალოდ ორივე მხარეს... თომირისის ისარმა სასიკვდი- ლოდ განეგმირა დიდი კვირისის ამაყი გული.



თომირის უკვე გაეგო რა უბედურებაც დაატყუდა თხეს მის საუკეთესო ჯარს. მაშინ მან სასწრავოდ. შეკრიბა თავის მარქაფა ჯარი, დაკურ რაზმებად, მთავარსარდლობა თვითონ იკისრა და გაუმდვი ჯარს. მას

შედრე სპარსეთის ჯარი, დამარცხდნენ სპარსელები, გაიმარჯვა მასაგეთის ხალხმა. ძლეული სპარსელები, ვინც ცოცხალი გა- დარჩა, უკუიქცნენ, მიატოვეს ბრძოლის 30-

ლი და მიაშურეს თავის ხომალდებს, გაიქცნენ და თავს უშველეს.

აუარებელი დახოცილი მხედრობა ეყარა ბრძოლის აღგილას. გამარჯვებულმა მასაგეთის ხალხმა დიდებით და საძხედრო სიმღერით შეიყვანეს მეფე თომირის კვირისის მზიდრულად მორთულ კარავში.

— სად არის ჩემი შვილი? — იყითხა მან.

— მეფე შენი შვილი აღარ არის ცოცხალი, — უთხრეს მას.

თომირისი ადგა და ნელი ხმით იკითხა:

— მთვრალი მოაკვლევინა კვიროს მეფემ?

სპარსელმა ტყვებ უამბო, თუ როგორ მოიკლა თავი ჭაბუქმა სპარგაპისესმა.

თომირისი ერთხანს სდუმდა.


— ხედავ მასაგეთის ერო, — წარმოსთქვა მან ბოლოს მწუხარედ, — ჩემმა შვილმა გამოიყიდა თავისი შეცდომა თავის უბედური დედის წინაშე, მხოლოდ არა ერისა და მეფის წინაშე: მთავარსარდალი არ უნდა შესცდეს არასოდეს და არც უნდა შედრეს მტრის წინაშე... მაგრამ მე გთხოვთ აპატიოთ ეს მარცხი მის უბედურ დედას, დეუას, რომელმაც შესძლო აღზარდა შესაფერი მეომარი. სპარგაპისეს დედა მუხლს იღრექს თქვენ წინაშე... — თომირისმა დაიჩინქა მეომართ წინაშე და გაუწოდა მათ ხელები მუდარით.

მხედრობამ სწრაფუად აიტაცა ის და ისევ დასვა ტახტზე.

— სპარგაპისესი მოკვდა ვაჟკაცურად, მეფევ და მასაგეთის ხალხს ექნება მისი ხსოვნა საშუალოდ, — იგრიალა ჯარმა.

— ახლა კი, — ბრძანა თომირისმა, — მომიტანეთ სპარსეთის მეფე კვიროსის თავი და ერთი დიდი კამეჩის გუდა დახოცილ მეომართა სისხლით სავსე.

ბრძანება სწრაფუად იქნა შესრულებული. მოიტანეს სპარსეთის მეფე დიდი კვირო-



აპა, კვიროს მეფევ, გწყუროდა ყოველთვის ადამიანის სისხლი და აპა გაძენი...

სის თავი. მისი არწივისებური თვალები და ხუჭული იყო, მამაცი ჭკვიანი სახე სისხლით მოსურილი და საბრალო თმები აბურებნილი, ბაგები ჩაშავებული.

თომირისძა აიღო ხელში თავი და ჩაუშვა მეომართა სტანდით სავსე გუდაში და უთხრა:

— აპა, კვიროს მეფევ, შენ გაუმაძლარო სისხლისმელო, შენ გწყუროდა ყოველთვის ადამიანის სისხლი და აპა გაძენი... ეს არის მასაგეთის ერის და მისი მეფის შურისძიება შენს მიმართ. და ეს გაიგოს ეს ამზავი მოდგმათა-მოდგმამ.

— აგრე იყოს, აგრე იყოს — გაისმა მასაგეთის მეომართა ქალისა და კაცის მწუხარებმა.

და მართლაც ეს სიმართლე თუ ლეგენდა გადმოსცა მოდგმათა-მოდგმას ისტორიის მამამთავარმა პერძენმა ჰეროდოტემ, რომელიც ცხოვრობდა ახალ წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნეში.





The image shows a decorative title page from an old book. The title 'Всемъ добр' is written in a large, ornate Gothic script font. Above the title is a decorative border composed of stylized, swirling floral or leaf-like motifs. Below the title is a horizontal line and a decorative base element resembling a stylized vase or a decorative scrollwork.

ერთ დღეს ხანტუსმა განიზრახა საღილი
გემართა თავისი მეჯობრებისათვის. შან
უბრძანა ეზობეს ეყიდა ყველაზე საუკეთე-
სო რამ და დაემზადებოდა. ეზოპე იყიდა
მხოლოდ ენები. შემზადა ისინი ნაირ-ნა-
რად. საღილის პირველი, შეორე და მესამე
თავი მხოლოდ ენებოსაგან იყო დამზადე-
ბული. სტუმრები ჯერ აქებდნენ საჭმე-
ლებს, მერე კი მობეზრდათ და უარი
სთქვეს ჰამაზე.

— Әң қоңыр ғибадатдаңы,—сөткөзә қаңтүләсімді
— ғызып болса сіл, რаңғы სауқұметтеңең ойнанғандағы?
— Мереж?!. Қа аңынан ғана үшінші? Әң үшінші
— ғибадат—ілса да ساғашқа дәл оғындың ғибадаттың
— ғибадат—ілса да ғибадаттың ғибадаттың
— ғибадат—ілса да ғибадаттың ғибадаттың
— ғибадат—ілса да ғибадаттың ғибадаттың

— მაშ კარგი—სთქვა ზანტუსმა, რომელ-


მაც განდიჩრახა ეზოპეს გამოცდა,—ხევალისა-
თვის ის იყიდე, რაც ყველაზე უფრო ცუ-
ლია, გუშინდელი სტუმრები მეწვევიან და
მინდა მათ ახლა სხვა რამით გავუმასპინძ-
ლდე.

მეორე დღეს ეზობებ კვლავ ენებისაგან
დამზადებული საშემცირები მოიტანა სუფრა-
ზე და განაცხადა, ყველაზე ცუდი რამ ამ
ქვეყნად ენაო: „ისაა ყოველგვარი უთან-
ხმოების წარმომაზნი, დავის, შუღლისა
და ომების წყარო. თუ აშენდენ, ის მართ-
ლის მოქმედიათ, სამაგიეროდ ტყუილის
მოქმედიცა და, რაც მთავარია, უსამორთ-
ლობის იარაღიც. მისი საშუალებით ანგრე-
ვენ ქალაქებს; თუ, ერთი მხრივ, ის აქებს
ომურთებს, მეორე მხრივ, გამოთქვამს ეჭვს
მათ ძლიერებაზე“.

ერთ-ერთმა სტუმარმა უთხრა ხანტუსს,
ეს მსახური თქვენთვის აუცილებელია.

სთარეგმნა ფურანგულიდან

8080 ଏମ୍ପିଆ





ყოველი მხრიდან

როგორც ის კუნძული

წყნარ იკანები, სამხრეთ აშერის ნაპირებიდან 600 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს პატარა კუნძული, რომელთაც ხუან ფერნანდესის არქიპელაგს უწოდებენ. 1704 წელს ერთ-ერთ პატარა კუნძულზე, რომელსაც მას-ა-ტიერა ეწოდება, სასჯელის გამო ჩამოსვეს ინგლისის გემის „5 ნავსადგურის“ მეზღვაური ილექსანდრე სელიორი. მას დაუტოვეს ჰიროეოდენი სურსათი, თოვი, ნაჯახი, დანა, ქვაბი და ტანსაცმელი. სულ ეს იყო სელეირის ავლადიდება.

4 წელიწადი და 4 თვე მარტიდმარტო გაატარა სელკირქმა უკაცრიელ კუნძულზე, მხოლოდ 1709 წელს ინგლისის გემმა „პერკოვმა“ წამოიყვანა იგი სამშობლოში, სელკირქის თავგადასავალი გამოიყენა მწერალდა დანიელ დეფომ და დაწერა თავისი ცნობილი მოთხოვნა „რობინზონ კრუზი“.

ამჟამად კუნძული მას-ა-ტიერა ჩილის რესპუბლიკას ეკუთვნის. კუნძული უკვე დასახლებულია, იქ 300-ზე მეტი მცხოვრებია. ისინი მისდევენ სოფლის მეურნეობას და თევზის ჭრას.

ვალიგოლი

თითქოს საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ, ფეხბურთის თამაში შეიძლება ველისიპედითაც. ჩეხოსლოვაკიაში არსებობს სპორტის ასეთი სახე — ფეხბურთი ველისიპედით. საბჭოთა სპორტს მენები, რომლებიც ამას წინათ დაბრუნდნენ ჩეხოსლოვაკიიდან, დიდი ინტერესით უყურებდნენ შათოვის უცნობ და საინტერესო სახის თამაშს.

ფეხბურთელი, რომელიც ველისიპედზე ზის, დიდი იქტატონით აწოდებს ბურთს და ასეთივე ოსტატონით გააქვს ბურთი მოწინააღმდეგის ბადეში არა მარტო წინა თვლებით, არამედ უკანა თვლებითაც. მატჩი ტარდება 4 ველისიპედისტს შორის, თვითეულ გუნდში ორ-ორი ველისიპედისტია. აღსანიშნავია, რომ ველისიპედით ფეხბურთის თამაში მოიხსენეს შესანიშავ ისტატონბას, ხოლო ჩეხოსლოვაკიაში, სადაც ძალზე განვითარებულია ველისიპედის სპორტი, მრავალი ასეული საუკეთესო ველისიპედისტი არის.

რა ყვავიდებია?


მოველ, მომაქვს
ბრილ-ალმასით
მოჭედილი ვერცხლის თასი,
სურნელება ნაზე-ნაზი...

— ვინ ვიქნები თქვენი აზრით?

**

კლდეზე ობლად აღიზარდე,
შობლიურ მზით მიძევეს გული.
ვინც მე მნახავს, შევბით იტყვის:
„უკვე დადგა გაზაფხული“.

ლილია მაგრები



IV სტრი

1. როდის შიიღეს საბჭოთა საქართველოს ჰიმნი და ეს არიან ჰიმნის ტექსტისა და მუსიკის ავტორები?

2. რომელ ქალაქში შენდება იტოქარხანა და რამდენ ავტომანქანს გამოუშვებს წელიწადში?

3. რომელ პოეტს ეკუთვნის გამოთქმა:

სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?
ერთ გულადი, პურადი,
შებრძოლი შავი ბედისა?
შავთა დროთ ვერა შესცვალეს
მის გული ანდატატისა,
მხერე, მხარეული, მოყვარე,
თავის სამშობლო მიწისა.

4. ჩამოთვალეთ საქართველოს რესპუბლიკაში შეზავალი ავტონომიური ერთეულები და მათი დედაქალაქები.

5. დაასახელეთ პუნქტი, საღაც ყველაზე მეტი ნალექი მოდის საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

6. საქართველოს სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა რა თანხააგათვალისწინებული მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმით?

7. რამდენი აღმინისტრაციული რაონია საქართველოში?

8. როდის ღამი ველიდოვეს საქართველოს რესპუბლიკა ლენინის ორდენით?


9. რომელმა ქართველმა მოგზაურმა იმოგზაურა და აღწერა ინდოეთი?

10. ჩამოთვალეთ სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომლის მთავარ რაონის წარმოადგენს საქართველო საბჭოთა კავშირის მასშტაბით.



მითოლოგიური დროების ისტორია

კრონოსი (სატურნი) — ცისა (ურანოსი) და დედამიწის (გეას) შვილად ითვლებოდა. ყველაზე უძროსი იყო იგი ურანოსის შვილებს (ურანიდებს, ანუ ტიტანებს). შორის და ღმერთთა უძველეს თაობას ეკუთვნოდა. კრონის ურანოსი დამხობის შემდეგ მთელ სამყაროს (კოსმოსს) განაგებდა, ქვეყნიერების უზენაეს ღვთაებად, მის მომწყობმოწესრიგებლად ითვლებოდა. ცოლად მან შეირთო თავისი და* რეა (რომაულად ოპს), რომლისგანაც სამი ვაჟი — პადესი, პასეიდონი და ზევსი და სამი ქალი — ღემეტერ, ჰესტია და ჰერა შეეძინა. ამ ექვს ღმერთს და მათ შვილებსაც კრონიდების სახელით მოიხსენიებდნ ხოლმე, ვითარება კრონოსის შთამობელობას.



კრონოსი
ანტიკური ბიუსტი ვატიკანში
(რომი)

კრონოსმა (ანუ ქრონოსმა) იცოდა, რომ მოიჩას (ბედისწერის) გადაწყვეტილებით მას ძალაუფლებას შვილები წაართმევდნენ მსგავსად იმისა, როგორც მან თვითონ ურანოს წაართვა სამყაროს გამგებლობა, ამიტომ იგი თავის შვილებს მათი დაბადებისთანავე ჰყლაპავდა. მხოლოდ უძროსი ვაჟის ზევსის გადარჩენა მთავრება რეა. მის ნაცვლად მან გაუმაძლარ კრონოსს შევშეის ჩერებში გახვეული ქვა მიაჩეხა.

ვერ აიქცია კრონოსმა ბედისწერა. დავაუკცდა თუ არა ზეგისი, წაართვა კრონოსს სამყაროს გამგებლობა და უკან დააბრუნებინა მის შეირთობით და დები.

შთანთქმული შვილების უკან დამბრუნე-

* პირველყოფილ ხანაში და ცოლი იყო — და ას ზემობრივად ითვლებოდა (მარქსი).

ბელი კრონოსი, ქველთა წარმოდგენით, დახულ-დათესილ მიწას განასახიერებს, რომელიც, მიიღებს რა თესლს, უხვეულუაზე აღმოჩენის მას. ამიტომ კრონოს დამგლითაშე და სავლის მოწვევის იარაღით — ნამგლითაშე და სახავდნენ. შემდეგში კრონოსი დრო-ეამის ღმერთად მიიჩინეს და ყოვლისშემმუსკრელი დროის ატრიბუტები მიაკუთვნეს — ცელი, სილის საათი და გველი, რომელიც საკუთარ კუდსა ჰქებდნს; ზოგჯერ კიდევ მას ფრთხებითაც სახავდნენ. ფრთხები სიმბოლო იყო დროის მსწრაფმსკლელობისა, ყრილის საათი — დროის გაზომვისა, ცელი — დროის შემმუსკრელი ძალისა და გველი — დროის უსასრულო მდინარებისა, მისი მარადიულობისა.

კრონოსი რომაელების სატურნი იყო. სატურნი მიწის ნოყიერებას, ნათესებსა და მოსავალს განასახიერებდა. სატურნი და მისი მეუღლე აბსი იტალიის უძველეს ღმერთებს ეკუთვნობონ (იტალიის ძველად სატურნია — „მიწათმოქმედების ქვეყანა“ ეწოდებოდა). რომაელთა მითოლოგით, სატურნმა, ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ, თავი შეაფარა იტალიის იმ ნაწილს, რომელსაც ლაციუმი — „თავშესაფარი ქვეყანა“ ეწოდებოდა. ამ დროს აქ იანუსი მეფობდა და სატურნი მეგობრულად მიუღია. იანუსის შემდეგ სატურნი გამეფდა და ხალხი ბედნიერი დრო — ოქროს ხანა დაუმკვიდრა. ადგიმიანად თავისუფლება და თანასწორობა, სიუხვე ყოველივესი და მშვიდობიანობა ყოველთა სუფევდა, თურმე, სატურნის ქვეყანაში.

მაგრამ სიზმარივით გაპქრა ეს ძეროს ხანა, როდესაც ძალაუფლება იუპიტერმა (ზევსმა) იღლო ხელთ. და აი ამ ბედნიერი წარსულის მოსაგონებლად რომაელები შემდეგში დღესაცაულობდნენ სატურნალის*. 17-დან 20 დეკემბრამდე რომში წყობოდა ყოველგვარი მუშაობა და უკლიბლივ უკელა, ბატონი თუ მონა, მხიარულებს ეძლეოდა. მონა ბატონის გვერდით ჯდებოდა სუფრაზე, დღესაცაულის ერთ დღეს კი, 19 დუკემბრის, ბატონი მონის მსახური იყო. მონებს ნიშა იძლეოდათ აჩრეთვე „მეფე-მასხარა“ ამოერჩიათ. დღესაცაულის ღამთავრებისას „მეფეს“ აპყრილნენ ხოლმე უფლებებს, უფრო ძველად კი „მეფე-მასხარა“ განწირული იყო — მას სატურნს სწირავდნენ მსხვერპლად.

მოვკინებით რომაელები სატურნის, ბატონად კრონოსისა, დრო-ეამის ღმერთად

* გადატანით მნიშვნელობით სატურნალია უზომ, თავშეუკავებელ, აღვირასნილ მხიარულება-ლზეს ნიშნავს.

თკლიდნენ და მის ატრიბუტებს ანიჭებ-დნენ.

კრონოსის რომაული სახელი სატურნი ასტრონომიაში ეწოდება უძველეს ღროი-ლავე ცნობილ ერთ-ერთ პლანეტას, რომე-ლიც მოქმედის მანძილის მიხედვით მზისა-გან მექანიკა მისი სისტემის 9 დიდ პლანე-ტას შორის. პლანეტა სატურნი კონცენტ-რული ბრტყელი რკოლებითაა გარშემორ-ტყმული და ცხრა თანამგზავრი მოიქცევა მის გარშემო.

ძველ ბერძენთა უზენაეს ღვთაება კრო-ნოსთან გაიგივებულია ფშაველებისა და ზეპურების უზენაესი ღვთაება „მორიგე“. „მორიგე“ ან მნათობი კრონოსი უნდა იყოს, ან მისი თანამოსაყდრე და გამოხატულება“, — ამბობს აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვი-ლი თავის „საქართველოს ისტორიაში“ და ამას შემდეგი მოსაზრებებით ასაბუთებს:

წარმართობის-დროინდელ საქართველოში მნათობ-ღვთაებათა შეიდეულიდან მნათობ რონოსისათვის, ანუ სატურნისათვის. რო-მელიც საბა ორბელიანის ლექსიკონში ო-კული ცნობის თანახმად მეშვიდე ცაჟე მყოფად ითვლება, შაბათი-ორე ყოილა ჯან-უთენილი („ქართულად შაბათისა სახე-ლი არს კრონოსას... ღოვა“). ს. ორბელია-ნი. მოორეს მხრივ ხევსურიბის სიტყვითა თა რწმენით მეშვიდე ცაჟე მსუფევ მნათობ-ღვთაების „მორიგე“ ჰქვიან და ამისი დამი-ხოვით საფაქრებილია. რომ შაბათ-ორის მორიგეს იღე, ან ამის მსგავსი სახელი უნდა ჰრქმეოდა. გართა ამისა ხევსურიბისა ჰქონიათ, რომ „მორიგე რიგება წესს აძლევს ქეყნიერობას, მაგრამ თითონ ქეყნის მმართველობაში არ ერგა და ბრძანების შეტს არას აკეთებს“—ო. ამგვარად, — დაასკვნის აყადემიკოსი იგა-ნი ჯავახიშვილი, — „მორიგე“ — მნათობი ორთაება კრონოსია, იგი მეშვიდე ცაჟი სუ-თოვს და ქვეყნიერებას რიცს აძლევს. უნდა-ლიათ გვაგონდება საბერძნეთის მითოლო-გიაში კარგად ცნობილი ღვთაება, რონოსი, რომელიც არჩევთვე მნათობთა სამფლობე-ლოს ეკუთხნოდა და რომელსაც ზრდეთა ქეყნიერების და დრო-ეამის მომწესრიგებ-ლათ სთვლიონენ“.

სისტყვა „ქრონოს“ მრავალი ცნების ფუ-ძის შეათხებს თანამეოროი სისტყვათხმარ-ბაში. ასე, მაგალითად. „ქრონია“ — მიმ-ინარე ამბების, აღნიშვნას ნიშნავს, „ქრო-ნოონოშია“ არის მიანირება დროთა აო-რისხების შესახებ. ან ბორნების ამა თუ იმ მოალინის ან ისტორიოლი ამბების აღნიშ-ვნა ირომი. „ქრონომეტრი“ — ურისონისი ციზუსტების საათია, რომელიც იშმარება მეც-

ნიერული კვლევა-ძიების დროს, „ქრონიუ-ლი“ — მუდმივი, ხანგრძლივი.


არგუსი — ასთვალა ბუმბერაზე დატებული რი დედოფალი ჰერა, როცა ზედას მიმოიდა ხოლებ, თავის ჯაშუშად, თურმე, არგუსს სტოვებზა დედამიწაზე.

არგუსი მრადუამს ფხნული იყო: როდე-საც თვაისი თვალების ნახევრით იძინებდა, მეორე ნახევრით ამ ღრის ფხიზლობდა. ყველა მისი ასი თვალის მიძინება და შემდეგ შესი მოკვლა მხოლოდ ღმერთების მოცი-ქულმა ჰერმესმა მოახერხა. მითოლოგიის გაღმოცემით, არგუსი ჰერამ დარაჯად მიუ-ჩინა ნიმფა იოს იმ მიზნით, რომ იოსთან ზევსი ვერ მისულიყო სატრფიალოდ. მაშინ ზევსმა მოხერხებულობით განთქმული თა-ვისი ვაჟი ჰერმესი მიუგზავნა არგუსს და მი-სი მოკვლა უბრძანა.

ეს მითოლოგიური სიუჟეტი გაღმოცემუ-ლი აქვს ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუ-ნის შესანიშნავ ბერძენ მხატვარს ნიკეს თა-ვის სურათში „ჰერმესი, იო და არგუსი“.

არგუსის სიკვდილის შემდეგ ჰერამ მისი ასი თვალით თვაისი საყვარელი ფრინველის ფარშავანგის კუდი მორთო.

ახლა ვიტყვით ხოლმე არგუსის თვალი, ესე იგი მარად ფხიზელი თვალი, არგუსი—ფხიზელი დარაჯი.



„ჰერმესი, იო და არგუსი“ — კედლის მხატ-ვაბა, შესრულებული ნიკეს მიერ. ნაპოვნა პალატინის ბორცვზე, რომშა.

კპილი



სოოზურის პარანდარი

იმპერიალისტური
პარანდარი



გაუშლი წლის 12 აპრილს გარდაიცვალა ჩევნი მოკავშირე სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ურანკლინ დელანი რუზველტი.



1851 წლის 23 აპრილს, წლის წინათ, გარდაიცვალა ნაჭიერი რუსი ფლოტელი ლაზარევი



ამა წლის 26 აპრილს 90 წელი შესრულდა ცნობილი რუსი მთაწროვნის პეტრე ჩაადაცვის გარდაცვალებიდან.

60 წლის წინათ, აპრილ-ში, დაიბადა თათართა სახალხო პოეტი აბდულ ტუკაი. ის გარდაიცვალა 1913 წელს.



1936 წლის 21 აპრილს საკავშირო ახალგაზრდობის ლენინერი კომუნისტური კავშირის X ყრილობამ მიიღო ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინერი კომუნისტური კავშირის წესდება.

*

ამა წლის აპრილს შესრულდა ~40 წელი გამოჩენილი ოსი რევოლუციონერ-დემოკრატ შევლიას აუქრი სალიტერატურო ენისა და ძწირლობის ფუძემდებლის კოსტა ხეთაგუროვის გარდაცვალებიდან.



1520 წლის 6 აპრილს გარდაიცვალა დიდი იტალიელი მხატვარი რაფაელი.



55 წლის წინათ რუსმა კონსტრუქტორმა მისინმა გამოიგონი რუსული სამხაზიანი შაშიანა.



ორი წლის წინათ, 1944 წლის 15 აპრილს გარდაიცვალა არმიის გენერალი ვატუტინი, ბოლშევიკური პარტიის ერთგული შეილი.



115 წლის წინათ, 1831 წლის 12 აპრილს, დაიბადა გამოჩენილი ბელგიელი მოქანდაკე და მხატვარი მენე. ის გარდაიცვალა 1905 წელს.



330 წლის წინათ, 1616 წლის 23 აპრილს გარდაიცვალა მსოფლიოში ცნობილი ორი დიდი ადამიანი: გენალური ესანელი მწერალი მიგუელ სერვანტესა და გენიალური ინგლისელი ბოეტი-დრამატურგი უილიამ შექსპირი.



პიონერი

საქ. ალკა. ცენტრალური კომიტეტის
შოთავლის საბაზო უნივერსიტეტი

N^o 4

აპრილი 1946 წ.

წელიწადი მეორე
გამოცემლობა „კომუნისტი“

ПИОНЕРИ

N^o 4

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ДЕТСКИЙ ЖУРНАЛ ЦЕНТРАЛЬНОГО
КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Издательство „Коммунисти“

შინაარსი

სამი რამ (ნარკვევი)	1	გვ.	ნორჩ ავტორთა შემოქმედება	16—17	"
ხაჩუქრები დიდ ბელად	3	"	ჩვენი პიონერული ცხოვრება	18	"
დიმიტრი ბენაშვილი — ვლადიმერ მაია- კოვსკი (წერილი)	4	"	საჯარიმი დარტყმა (ერთმოქმედებისი პიესა, გადმოქვებული მანანა ხა- ზიურის მიერ)	19	"
ვლადიმერ მაიაკოვსკი — რა არის კარგი და რა არის ცუდი (ლექსი)	5	"	ნინო ნაკაშიძე — შურისძიება (ისტორიუ- ლი ლეგენდა)	23	"
შერი ადამია — საიდუმლო (წერილი) . .	6	"	ლაფონტენი — ეზოპების ცხოვრებიდან . .	27	"
გიორგი კაჭახიძე — ფრთა გაშალე (ლექსი)	7	"	მხოლიობ ყოველი მხრიდან	28	"
დავით შამათავა — ტყისმცველის ვაჟი (მოთხრობა)	8	"	ლიდია მეგრელიძე — რა ყვავილები? (ლექსი-გამოცანა)	28	"
გოეთე — მინდვრის ვარდი (ლექსი) . .	12	"	ვინ გაიმარჯვებე? (IV სერია)	28	"
არნო თენელი — წყაროს სიმღერა (ლექსი) .	12	"	შ. გვინჩიძე — მითოლოგის ლექსიკონი (კრონისი, არგუსი)	29	"
ილია სიხარულიძე — ბაკურიანის წყალი (ლექსი)	13	"	პიონერის კალენდარი	31	"
მარია მიქელაძე — ვაჟისა გეგმიანი ცხოვრება (პატარა ფელეტონი ლექ- სად)	14	"	გასართობი გარეკანის მე-3 გვ.		

სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ბერდ. ნ. ბერძენიშვილი,
შ. გვინჩიძე, ან. დულარიძე (პ/მდ. რედაქტორი), ვ. ვარდიაშვილი,
პროფ. გ. თავშიშვილი, ს. კეცხოველი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 28. ტელ. 3-81-85.

უ—02616 ტირაჟი 7000 გამომც. № 47 სტაბის შეკვეთა № 776

ბერიას სახელმძღვანელოს კომიტეტის კომუნისტური "კომუნისტი" ლენინის ქ. № 28

შურალის გარეკანი დაბეჭდილია სახელგამის ცინკოგრაფიაში,

გასართობი



რა არის შარადა?

შარადა (charade) ფრანგული სიტყვაა. შარადა ძეგლი გამოცანაა, რომელშიც ნაწილების აღწერიდან და მათი შეერთებიდან მიღება მოხდება.

მაგალითებსათვის, ქვემოთ მოგვყავს შარადა, შედგენილი მოსწავლე აღმსანდრე სამსონიას მიერ.

შარადის დასაწყისია—
დაწერე სიტყვა პირველი:
უდაბნოში წყლის მხოლოდ
მისგან ხდებან მხილველი.
მეორე ჭოტი არ არის,—
თუმცა არის ღამის ფრინველი.
სუს თაბანგან დაურთე
სინათლის მიმომფინველი.
კვლავ ერთი სიტყვაც გვჰირდება
შარადის დასასრულებლად:
ზაფ ხალათს შავი შეშვების,
თეთრ ხალათს—თეთრი უხდება...
შეჯარი, შეაკაგშირე,
ბაქოსქენ წასვლა ნუ გინდა,
შირაქიც ჩაფიქრებულა
მისი კოშკების შუბლითა.

ამ „შარადაში“ აღწერილია გამოსაცნობი სიტყვის ოთხი ნაწილი: „ჭა“, „ბუ“, ასო „რ“, „ლილი“. ამ ნაწილების შეერთებით გამოიცნობა სიტყვა „ჭაბურლილი“.

შარადის შედგენისას უნდა გვახსოვდეს, რომ თუ გამოსაცნობი მთელი უარყოფითია, მაშინ აღწერილი მისი შემდგენელი ნაწილებიც სასურველია უარყოფითი იყოს, და, პირიქით, თუ მთელი დადგებითია, ნაწილებიც დადგებათი უნდა იყოს.

ცუდი

რა არის ლოგოგრაფიი?

ლოგოგრაფიი (logographos) ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს: logos—„სიტყვა“ და griphos—„გამოცანა“, ესე იგი სიტყვა-გამოცანა ან საამოცაო სიტყვა, რომელიც იცვლს მნიშვნელობას მასში ზოგიერთ ასოთა შეცვლით. მაგალითად, ავილოთ სიტყვა „კალმი“. პირველი ასოს შეცვლით მიღიღებთ სხვა მნიშვნელობის სიტყვებს: „ხალამი“, „სალამი“ და ა. შ., ან სიტყვაში „ქალი“ პირველი ასოს შეცვლით მივიღებთ „ბალი“, „ვალი“, „შალი“, „ხალი“ და ა. შ.

შეიძლება ასო შეცვალოთ სიტყვის შეაშიც, მაგალითად, „ქალამი“—„ქალათი“.

ბასუნი უურნალ „პიონერის“ 1945 წლის მც 10 ურთისეს
მე-11 ნომრებში მოთავსეულ გასართობ გამოცანებზე

გამოცანაზი

1. ღრუჟელი.
2. კვერცი.
3. ვარსკვლავები.
4. რუკა.
5. გედი.

სიტყვების გადამნა

1. ჭანიშვილისა.


ნიორი—იორი, ღორი—ჯორი—ჭორი—ქორი.

შარადები

1. სეანისა

ია-დონი, რა-ჭა.

2. ჭერეთლის.



არითშემოქმედი ამოცანა

სამი ერთნაირი ციფრით 10 ასე დაიწერება: 9 — , 9

ოთხი ციფრით 100 ასე: 99 — . სურათ, — 1000 ასე: 999 — 9

ლექცი-გამოცანა


1. კაჭანისა

ზამთარი.


გამოცანა—ხურობა

1. ბალი—ალი, 2. კვლავ ორი დარჩა.

გამოცანა გ. გასპარიანისა



వీర మాన?



ఈ రింగుబాషాఖులు బెంగాలుల్లి శాఖలుగాయి, ప్రాణికాలాయిల్ వారసుకుటుంగులు ఇంద్రజిత్ కుమార్ అంగుళికిత్ పాటి వినుంపు.